## ხვალ 9 მაისია. გილოცავთ გამარჯვების დიად დღესასწაულს, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 106 (19248) ოთხშაბათი, 8 მაისი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

## ხალხის უკვდავი გმირობა

**ვ. კულიკოვი,**

საბჭოთა კავშირის მარშალი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში, მისი შეიარაღებული ძალების გმირულ მატიანეში 1945 წლის 9 მაისს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ დღეს ძლევამოსილად დამთავრდა არნახული მასშტაბისა და გააფთრების ბრძოლა, რომელსაც 1418 დღისა და ღამის მანძილზე ეწეოდა საბჭოთა კავშირი საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული დამკვრელი ძალის — გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ.

ოთხი ათწლეულის წინათ საბჭოთა ხალხმა, მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა ჩაიდინეს გმირობა, რომლის ბადალიც არ იცოდა ისტორიამ — გმირობა ქვეყნად მშვიდობისა და სიცოცხლისათვის. მათ დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ჰიტლერულ გერმანიასა და მის მოკავშირეებზე გამარჯვებაში, ფაშისტური მონობისაგან ევროპის ხალხების განთავისუფლებაში, მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენაში.

* * *

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო. განთიადისას, ომის გამოუცხადებლად, ჰიტლერელებმა მუხანათურად დაძრეს თავიანთი ურდოები საბჭოთა მიწა-წყლისაკენ. გერმანიის ფაშისტ მმართველებს იმედი ჰქონდათ „ელვისებური ომით" მოესპოთ საბჭოთა სახელმწიფო, გაენადგურებინათ სოციალიზმი როგორც საზოგადოებრივი სისტემა, ხელთ ეგდოთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია და ბუნებრივი სიმდიდრე და მსოფლიო ბატონობისაკენ გაეკაფათ გზა.

მტერმა საბჭოთა კავშირს დაუპირისპირა თავისი ჯარების ძირითადი მასა: 190 დივიზია (მათგან 37 — სატელიტი ქვეყნების დივიზიები) 5,5 მილიონი კაცის საერთო ოდენობით, დაახლოებით 4 300 ტანკი, თითქმის 5 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი, 47 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 190-ზე მეტი საბრძოლო ხომალდი. იმჟამად ბურჟუაზიულ ევროპაში არ იყო სახელმწიფო, რომელიც შეძლებდა ესოდენ ძლიერი მტრისათვის წარმატებით გაეწია წინააღმდეგობა.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა განჭვრეტდნენ იმპერიალისტურ ძალებთან შეიარაღებული შეტაკების შესაძლებლობას. ამიტომ ჯერ კიდევ ომისწინა წლებში დიდი მუშაობა იყო გაწეული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასადიდებლად. ამან შესაძლებლობა მოგვცა შეგვეკავებინა ფაშისტური არმიების მოწოლა ძნელ 1941 წელს, უზრუნველგვეყო სახალხო მეურნეობის, ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე, გაგვეშალა შეიარაღებული ძალები, მოგვემარაგებინა ისინი ყველაფრით, რაც მტერზე გამარჯვებისათვის იყო საჭირო, და საბოლოოდ გაგვეცამტვერებინა ფაშისტური გერმანიის სამხედრო მანქანა.

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტებმა პირველი დიდი დამარცხება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის კედლებთან იწვნიეს. საბჭოთა არმიამ გაფანტა „ჰიტლერული შეიარაღებული ძალების უძლეველობის" მითი, გააბათილა „ელვისებური ომის" გეგმა. საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ მოსკოვთან ბრძოლაში დასაბამი მისცა ძირეულ შემობრუნებას ომის მსვლელობაში. მთელმა მსოფლიომ საბჭოთა კავშირი იგულა რეალურ ძალად, რომელსაც ფაშიზმის განადგურების უნარი შესწევდა.

გამანადგურებელმა დარტყმებმა, რომლებიც საბჭოთა არმიამ მიაყენა გერმანელ-ფაშისტ მომხდურებს სტალინგრადთან და კურსკის რკალზე, დნეპრისათვის ბრძოლაში, დიდ სამამულო ომში მომხდარი ძირეული გარდატეხა განაპირობეს. საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბრწყინვალე გამარჯვებებს ლენინგრადთან, მარჯვენა ნაპირის უკრაინასა და ყირიმში, ბელორუსიაში, იასისთან და კიშინიოვთან, ბალტიისპირეთსა და საბჭოთა იმიერპოლარეთში მოჰყვა ის, რომ 1944 წელს საბჭოთა მიწა-წყალი მთლიანად გაიწმინდა ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან.

პირნათლად მოიხადეს რა პატრიოტული ვალი, სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად განახორციელეს დიადი განმათავისუფლებელი მისია. ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში 7 მილიონამდე საბჭოთა მეომარი აწარმოებდა შეუპოვარ ბრძოლებს ჰიტლერელთა წინააღმდეგ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე და მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლა 11 მათგანი.

1945 წელმა უდიდესი გამარჯვებით დააგვირგვინა საბჭოთა არმიის მებრძოლებისა და მეთაურების გმირული ბრძოლა. მტერი განადგურებულ იქნა, ფაშისტურმა გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. მალე კი სამოკავშირეო ვალდებულებათა ერთგული საბჭოთა კავშირი ჩაება ომში მილიტარისტულ იაპონიასთან. მოკლე ვადაში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს მთავარი დამკვრელი ძალა — კვანტუნის არმია და თავისუფლება მოუტანეს აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებს.

მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს შესწევდათ უნარი არა მარტო გაეძლოთ ისეთი ძლიერი და ვერაგი მოწინააღმდეგის შემოტევისათვის, როგორიც გერმანიის ფაშიზმი იყო, არამედ დაეძლიათ კიდეც იგი, თანაც იმ პირობებში, როცა ომის დიდი ნაწილის განმავლობაში ჩვენს ჯარებს მარტო უწევდათ მოქმედება.

თავგანწირვით ებრძოდნენ ფაშისტ დამპყრობლებს იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის სამხედრო შენაერთების და პარტიზანული არმიებისა და რაზმების მებრძოლები, ბულგარელი, რუმინელი, ალბანელი, უნგრელი პატრიოტები, წინააღმდეგობის მოძრაობისა და ანტიფაშისტური იატაკქვეშეთის მონაწილენი. განმათავისუფლებელი ბრძოლის მეწინავე ხაზზე იყვნენ კომუნისტები, თავიანთი ხალხების ერთგული შვილები. მეორე მსოფლიო ომში მოპოვებულ გამარჯვებაში დიდია ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩინეთის, ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა სახელმწიფოთა ხალხებისა და არმიების წვლილი. მაგრამ გადამწყვეტი წვლილი ფაშისტური გერმანიის განადგურებაში საბჭოთა კავშირმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა შეიტანეს. ვინც ცდილობს დაუმალოს ახალ თაობებს ეს ფაქტი, იგი ცდილობს მიჩქმალოს იმ ძალის ნამდვილი წყაროები, რომელმაც უზრუნველყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვება მტერზე.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი მეორე მსოფლიო ომის მთავარი ფრონტი იყო. აქ მოსპეს, დაატყვევეს თუ გაანადგურეს მტრის 607 დივიზია, გერმანიამ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომს შესწირა 10 მილიონი კაცი, რაც მეორე მსოფლიო ომში მისი მთელი ზარალის სამ მეოთხედს შეადგენს, და დაკარგა იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის 75 პროცენტზე მეტი, როცა ინგლის-ამერიკის ჯარების წილად მოწინააღმდეგის 176 განადგურებული დივიზია მოდის. ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვერმახტის საუკეთესო, დარჩეული დივიზიები იბრძოდნენ, მაშინ როცა დასავლელ მოკავშირეებს საქმე ჰქონდათ ნაკლებ ბრძოლისუნარიან შენაერთებთან. ამიტომ თავისი სიმძაფრით, გაქანებითა და შეუპოვრობით საბრძოლო მოქმედებას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ვერანაირად ვერ შეედრება ინგლის-ამერიკის ჯარების საბრძოლო მოქმედება.

საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვება დიდ სამამულო ომში უაღრესად კანონზომიერია. მან მთელი სისრულით ცხადყო სოციალიზმის უპირატესობა, მისი უდიდესი ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი შესაძლებლობები.

კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე ძლიერი და გამოცდილი არმიის განადგურებით საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა თვალნათლივ გამოავლინეს თავიანთი საბრძოლო ძლიერება, საბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის, საბჭოთა სამხედრო ხელოვნების უპირატესობა ბურჟუაზიულ სამხედრო მეცნიერებასთან და სამხედრო ხელოვნებასთან შედარებით. ომის 4 წლის მანძილზე საბჭოთა ჯარებმა განახორციელეს 50-ზე მეტი სტრატეგიული ოპერაცია, დაახლოებით 250 დიდი და მცირე საფრონტო ოპერაცია, ათასობით დიდი და მცირე ბრძოლა. ბევრი

(დასასრული მე-2 გვ.).

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა და მთლიანად მოიწონა საბჭოთა დელეგაციის მუშაობის შედეგები, რომელიც წარგზავნილი იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა ვარშავის შეხვედრაზე 1985 წლის 26 აპრილს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ ამ შეხვედრას, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შემდგომი შეკავშირების, მათი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების, მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის თანამიმდევრული განხორციელებისათვის. ვარშავის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება ახალ თვალსაჩინო წვლილს მატებს მოძმე მოკავშირე სახელმწიფოების უშიშროების განმტკიცებას, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებასა და დამკვიდრებას. პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და სამხედრო დარგებში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის განუხრელი გაღრმავება კვლავაც იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს საწარმოო გაერთიანება „გაზ"-ის ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ გორკის საავტომობილო ქარხნის საწარმოო ბაზის განახლებას თანამედროვე, დიდმწარმოებლური მოწყობილობის, კერძოდ, გადასამართავი ტექნოლოგიური კომპლექსების, ავტომატიზებული მართვით აღჭურვილი ხაზების, სპეციალური ჩარხებისა და ხელსაწყოების დანერგვის საფუძველზე. დასახულ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ სატვირთო ავტომობილების გამოშვება, არსებითად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, შევამციროთ საამწყობო და სხვა სამუშაოთა შრომატევადობა. დაგეგმილია აგრეთვე გაიზარდოს გაერთიანებაში მუშაკთათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლების, ჯანდაცვის, ვაჭრობისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

პოლიტბიურომ მოიწონა ნავთობისა და გაზის გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა გაძლიერების პროგრამა. მოცემული პროგრამის შესაბამისად მეთორმეტე ხუთწლედში მნიშვნელოვნად იზრდება ღრმა ბურღვის მოცულობა, რომელიც განხორციელდება ახალი საბურღი, გეოფიზიკური და გამოთვლითი ტექნიკის, საბადოების ძიებისა და დაზვერვის რაციონალური მეთოდების ფართოდ გამოყენების საფუძველზე. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ეფექტიანობა, განვამტკიცოთ ნავთობისა და გაზის მრეწველობის ნედლეულის ბაზა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გეოლოგ-მზვერავთა კადრების მომზადებას, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ გაძლიერდეს მომთხოვნელობა პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების ხარჯვის დადგენილი წესის დაცვისადმი. როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, იმის გამო, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა შეასუსტეს კონტროლი, უკანასკნელ ხანს გახშირდა შემთხვევები, როდესაც ირღვევა სასურსათო რესურსების გამოყენების წესი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მოსახლეობა პირუტყვის საკვებად ყიდულობენ პურს და სხვა პროდუქტებს სავაჭრო ქსელში. ბევრგან პარტიული ორგანიზაციები ურიგდებიან პურის მფლანგველური მოხმარების ფაქტებს, არ ქმნიან მათი შეუწყნარებლობის ვითარებას, სუსტად ეწევიან ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსახლეობაში. ამას დიდი მორალური და მატერიალური ზიანი მოაქვს, არ შეესაბამება მეცხოველეობის განვითარების საერთო ამოცანებს. პოლიტბიურომ შესაბამის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა დაამყარონ ჯეროვანი წესრიგი სურსათ-სანოვაგის ხარჯვაში, უზრუნველყონ ვაჭრობის წესების განუხრელი დაცვა, გადაჭრით აღკვეთონ სასურსათო პროდუქტების დანიავების ფაქტები.

ამავე დროს დასახულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაძლიერდეს კონტროლი მოსახლეობისათვის მისაყიდად გამოყოფილი კომბინირებული საკვების რეალიზაციისადმი, გაეწიოთ დახმარება მოქალაქეებს მათს პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფაში.

პოლიტბიურომ განიხილა კოლექტიური მებაღეობა-მებოსტნეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. ამასთან აღინიშნა, რომ იგი მუშა-მოსამსახურეთა, პენსიონერთა ბევრი ოჯახისათვის თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების ფორმა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღების დამატებითი წყარო გახდა. მაგრამ მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ჯერჯერობით სრულად ვერ კმაყოფილდება იმ მშრომელთა მოთხოვნები, რომლებსაც სურთ მისდიონ კოლექტიურ მებაღეობასა და მებოსტნეობას. ამასთან დაკავშირებით დასახულია 1986 წლიდან დაწყებული, გაიზარდოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა, უზრუნველყოფილ იქნეს მიწის მიჩენა და კოლექტიური ბაღების მოწყობა, გაუმჯობესდეს მებაღეობის ამხანაგობების და მებოსტნეთა კოლექტივების წევრთა სატრანსპორტო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაცია. ამავე დროს ყურადღება მიექცა იმას, რომ საჭიროა მკაცრად დავიცვათ მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის დადგენილი წესი და არ დავუშვათ მათი გამოყენება აგარაკების მშენებლობის, მომხვეჭელობისა და მოგებისათვის.

განხილულ იქნა ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის მოადგილესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან კიმ ენ ნამთან საუბრების შესახებ. პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ გამართული აზრთა გაზიარება ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის გაღრმავებას კორეის ნახევარკუნძულის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა გაძლიერდეს ერთობლივი ძალისხმევა, რათა წინააღუდგეთ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ პოლიტიკას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, ვაშინგტონ-ტოკიო-სეულის სამხედრო პოლიტიკური ბლოკის შეკვრას, დასავლეთის სახელმწიფოთა იმ ცდებს, რომ დაამკვიდრონ კორეის გათიშვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარული ინიციატივების ბლოკირების გზით.

პოლიტბიურომ განიხილა მ. ს. გორბაჩოვის, სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებისა და ნიკარაგუის პრეზიდენტის, ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრის დ. ორტეგას მეთაურობით წარმოგზავნილი დელეგაციის შეხვედრის შედეგები. ამასთან კვლავ დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირი სოლიდარობს ნიკარაგუელი ხალხის თავდადებულ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნიკარაგუის მხარდაჭერისა და ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი ვითარების სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების საქმისათვის მოქმედების გააქტიურების მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება ახლა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, რომელიც ფეხქვეშ თელავს სახელმწიფოთა ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, ფართო მასშტაბის ეკონომიკური აგრესია განახორციელა ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ, სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას ადგას და აფართოებს გამოუცხადებელ ომს ამ ქვეყნის წინააღმდეგ. საერთაშორისო სოლიდარობა ნიკარაგუასთან, რომელიც იცავს გარედან დიქტატისა და ჩარევის გარეშე თავისუფალი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი განვითარების უფლებას, დღეს განუყოფელი ნაწილია საერთო ბრძოლისა, რომელიც წარმოებს მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და სუვერენიტეტის, საერთაშორისო მართლწესრიგისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფუძემდებელი პრინციპების დაცვისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც ეხება ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას, სოციალისტურ და სხვა მეგობარ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებას, მის აქტიურ ბრძოლას ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისა და პროგრესისათვის.







საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის თენგიზ სამსონაძის პლაკატი.

## საფრანგეთის ომის ვეტერანთა და მსხვერპლთა რესპუბლიკური ასოციაციის ეროვნულ საბჭოს

დიდი გულისყურით გავეცანი თქვენს მიმართვას, რომელიც გამსჭვალულია დაინტერესებით წარმატებით დამთავრდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ჟენევაში, სადაც განვიხილავთ მსოფლიოს სვე-ბედის, მთელი კაცობრიობისათვის კაპიტალური მნიშვნელობის საკითხებს.

ომის ვეტერანებს სხვებზე უკეთ მოეხსენებათ, რა არის ომი, და შეუპოვრად იღვწიან, რათა არ დაუშვან მისი გამეორება. მით უმეტეს, არ დაუშვან ომი ბირთვული იარაღის გამოყენებით, რომელსაც შეუძლია ნაცარტუტად აქციოს ჩვენი პლანეტა.

შემიძლია აღგითქვათ: საბჭოთა კავშირი ჟენევის მოლაპარაკებას შეუდგა მტკიცე განზრახვით, აწარმოოს კონსტრუქციული დიალოგი კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილების, სტრატეგიული ბირთვული და საშუალო სიშორის იარაღის რადიკალური შემცირების შესახებ. რამდენადაც არ იქნებოდა ბუნებრივი გვეწარმოებინა მოლაპარაკება შეიარაღების შემცირების საკითხებზე და ამავე დროს გაგვეძლიერებინა იგი, ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება, რომ მოლაპარაკების მთელი პერიოდისათვის საბჭოთა კავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს მორატორიუმი დაეწესებინათ დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის, მათ შორის სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოებზე, გამოცდასა და განლაგებაზე, გაეყინათ თავიანთი შეტევითი სტრატეგიული შეიარაღება. ამავე დროს უნდა შეწყვეტილიყო ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგება ევროპაში და, შესაბამისად, განხორციელებულიყო საპასუხო ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის მხრივ.

მორიგების გზების მიგნების გასაადვილებლად ჩვენ, როგორც იცით, ა. წ. 7 აპრილიდან ცალმხრივი წესით გამოვაცხადეთ მორატორიუმი საშუალო სიშორის ჩვენეული რაკეტების განლაგებაზე და შევაჩერეთ ევროპაში სხვა იმ საპასუხო ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებით არის გამოწვეული. ანუ მორიგების წადილი დავადასტურეთ კონკრეტული აქციებით, რომლებსაც დადებითად გამოეხმაურა მსოფლიო.

ასეთია ჩვენი მუდმივი, პრინციპული პოლიტიკა. სსრ კავშირი გულწრფელად ესწრაფვის განიარაღებას და ბირთვული იარაღის შემცირებას. ჯერ კიდევ 1982 წელს ჩვენმა ქვეყანამ იკისრა ვალდებულება, რომ პირველი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს, და მოუწოდა სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს მიებაძათ მისი მაგალითისათვის. 1983 წელს სსრ კავშირმა ცალმხრივი წესით გამოაცხადა მორატორიუმი კოსმოსში თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის გატანაზე, სანამ სხვა სახელმწიფოებიც ასევე მოიქცევიან. ორივე ეს ვალდებულება ძალამოსილია დღესაც. ჩვენ წამოვაყენეთ აგრეთვე წინადადება, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მეოთხედით და მეტად შეემცირებინათ სტრატეგიული შეტევითი იარაღი, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციას ამ ინიციატივათაგან არც ერთზე არ გაუცია კონსტრუქციული პასუხი.

სამწუხაროდ, როგორც ჟენევის მოლაპარაკების პირველ ეტაპს ეტყობა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები არც

(დასასრული მე-2 გვ.).

## გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ერიხ ჰონეკერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვილი შტოფს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 40 წლისთავი.

დეპეშაში ხაზგასმულია, რომ სსრ კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად კვლავაც გააღრმავებენ სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციას, განამტკიცებენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას, რომელიც 30 წელია სოციალიზმის მონაპოვრების, ევროპის ხალხების მშვიდობიანი ცხოვრების საიმედო დარაჯია. მოკავშირე ქვეყნების უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების შეხვედრამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში, ცხადყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც ყველაფერი იღონონ გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში. ამ მიზნების მიღწევა ღირსეულ პატივს მიაგებს ყველა იმათ გმირობას, ვინც მეორე მსოფლიო ომის წლებში თავდადებით იბრძოდა ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

(საქინფორმი).

40

# ხალხის უკვდავი გმირობა

(დასასრული)

მათგანი სამართლიანად შევიდა მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ოქროს ფონდში.

ჩვენი დიადი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ლენინური კომუნისტური პარტია გახდა. თავისი მრავალმხრივი საქმიანობით მან უზრუნველყო პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობის, არმიისა და ხალხის, ფრონტისა და ზურგის მტკიცე ერთიანობა. მისი მოწოდებით მთელი ქვეყანა აღდგა ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. კომუნისტური პარტია ჭეშმარიტად მებრძოლი პარტია იყო. კომუნისტები იყვნენ მტერთან ბრძოლის ყველაზე რთულ და გადამწყვეტ უბნებზე. პირადი მაგალითით, მგზნებარე პარტიული სიტყვით შთააგონებდნენ ისინი და მიუძღოდნენ საბჭოთა ადამიანებს გამარჯვებისაკენ.

უმაღლეს პატივად ითვლებოდა ბრძოლაში კომუნისტად წასვლა. ომის დამლევისათვის კომუნისტი იყო ყოველი მეოთხე მეომარი. კომუნისტები წარმოადგენდნენ წამყვან და შემადუღაბებელ ძალას საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა, რომელთა რიგებში ომის წლებში ჩვენი ქვეყნის ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები იბრძოდნენ. ისინი იძლეოდნენ სიმამაცისა და ვაჟკაცობის მაგალითს ბრძოლაში, რის წყალობითაც საბჭოთა არმია მასობრივი გმირობის არმიად იქცა. 11 ათასზე მეტ კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, სულ კი ორდენებით და მედლებით დაჯილდოვდა 7 მილიონზე მეტი მეომარი, ათასობით ნაწილი და შენაერთი.

ჩვენი გამარჯვება უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, კომუნიზმის დიადი იდეალების უშრეტი სასიცოცხლო ძალის, სოციალისტური ცხოვრების წესის გამარჯვების სიმბოლოა. დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულში ისმოდა და ჩანდა მისი სალუტი. იგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, გადაიქცა ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ახალი ეტაპის განთიადად. „გერმანიის ფაშიზმის, შემდეგ კი იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში გამარჯვების 40 წლისთავის შესახებ, — უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მთელ მსოფლიო განვითარებაზე". დავიწროვდა იმპერიალიზმის ბატონობის სფერო. გაძლიერდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები, ხელსაყრელი პირობები შეექმნა მშრომელთა მასების ბრძოლას სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. განმტკიცდა პროგრესული, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე ძალების პოზიციები. გაიზარდა კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენა. წარმოიშვა და წარმატებით ვითარდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა. დაჩქარდა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის პროცესი, რომელიც ამ სისტემის კრახით დამთავრდა.

წარუვალი მნიშვნელობა აქვს დიდი სამამულო ომის გაკვეთილებს. ისინი გვავალდებულებენ მუდამ გვახსოვდეს იმპერიალიზმის აგრესიული არსი, ვამაღლებდეთ სიფხიზლეს, ვუფრთხილდებოდეთ და ვამრავლებდეთ სოციალიზმის მონაპოვრებს, ვირაზმებოდეთ მშვიდობისათვის საბრძოლველად. მთავარი გაკვეთილი კი ის არის, რომ ომს მანამდე უნდა ვებრძოლოთ, სანამ იგი დაიწყებოდეს. განსაკუთრებით აქტუალურია ეს დასკვნა ახლა. მსოფლიოს ხალხები არაერთხელ დარწმუნებულან და კვლავაც რწმუნდებიან, თუ რაოდენ აგრესიულია მონოპოლისტური კაპიტალის არსი. მაგალითად, 1945 წლის შემდეგ, ამერიკის პრესის მოწმობით, შეერთებულმა შტატებმა სულ ცოტა 262-ჯერ გამოიყენა შეიარაღებული ძალები თავისი საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

აგრესიულმა იმპერიალისტურმა ძალებმა „ჯვაროსნული ლაშქრობა" გამოაცხადეს კომუნიზმის წინააღმდეგ. ჩვენი სახლის ზღურბლთან ამერიკულ „პერშინგ-2" და ფრთოსან რაკეტებს განალაგებენ. პენტაგონი კოსმოსში გაჭრას ლამობს. დასავლეთ გერმანიაში ძლიერდება რევანშისტული განწყობილება, გაისმის განცხადებანი ომისშემდგომი ევროპის საზღვრების „დროებითი ხასიათის" თაობაზე. შორეულ აღმოსავლეთში მილიტარისტული გზით სულ ახალ-ახალ ნაბიჯებს დგამენ იაპონიის მმართველი წრეები, რომელთა პოლიტიკა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ნატოს აგრესიული ბლოკის პოლიტიკას.

ახლანდელ რთულ ვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მოძმე ქვეყნების მარქსისტულ-ლენინური პარტიები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ დაემხოს ესოდენ ძვირად მოპოვებული მშვიდობა. „კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისათვის ბრძოლაში უძლეველი ძალაა სოციალისტურ სახელმწიფოთა მჭიდრო თანამეგობრობა, მისი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების ერთიანობა", — ხაზი გაუსვა პარტიის აპრილის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

სსრ კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები იძულებული არიან განამტკიცონ თავიანთი თავდაცვისუნარიანობა. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის მუდმივი ზრუნვის, ყურადღების წყალობით ომისშემდგომ წლებში სახე იცვალა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა. ჩვენი ქვეყნის დიდი ეკონომიკური პოტენციალის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ბაზაზე არმია და ფლოტი აღჭურვილია იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის თანამედროვე სისტემებით; გაიზარდა მათი საბრძოლო შესაძლებლობები. დიდი თვისებრივი ცვლილებები მოხდა სამხედრო საქმის ყველა დარგში. წარმატებით ვითარდება სამხედრო-თეორიული აზროვნება, მთლიანად საბჭოთა სამხედრო მეცნიერება.

ყოველნაირად ზრუნავენ თავიანთი თავდაცვითი პოტენციალის, ეროვნული და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები. მოძმე სოციალისტური ქვეყნების უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული მონაპოვარია ის, რომ მიღწეულია სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობა ნატოს აგრესიული ბლოკის სახელმწიფოებთან. ეს პარიტეტი საიმედოდ უკვეცავს აგრესიულ მადას იმპერიალიზმს.

40 წელიწადია, რაც უომრად ცხოვრობენ ევროპის ხალხები. და ამაში დიდი დამსახურება აქვს საბჭოთა კავშირს. ოთხი ათწლეულის წინათ მის მიერ ჩადენილი უკვდავი გმირობა კაშკაშა ჩირაღდანივით უცისკროვნებს კაცობრიობას მშვიდობიანი მომავლის გზას.

(დასასრული)

ახლა იჩენენ მორიგების სურვილს. სამაგიეროდ აშკარაა სხვა რამ: ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს თავაწყვეტილ გამალებულ შეიარაღებას და აქტიურად ცდილობს გადატანოს იგი კოსმოსში.

ჟენევაში წარმატებისათვის საჭიროა ორმხრივი პოლიტიკური კეთილი ნება მორიგებათა მისაღწევად თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის მკაცრი დაცვით. მსოფლიოს რთული, დაძაბული ვითარებისა და ჟენევის მოლაპარაკებაზე არსებული სიძნელეების მიუხედავად ჩვენ არ ვკარგავთ საღ ოპტიმიზმს.

# საფრანგეთის ომის ვეტერანთა და მსხვერპლთა რესპუბლიკური ასოციაციის ეროვნულ საბჭოს

იმედი გვაქვს, ჩვენი პარტნიორები ყურად იღებენ იმ ხალხების ხმას, რომლებსაც მშვიდობა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტა სწადიათ. იმედი გვაქვს, რომ საღი აზრი, პოლიტიკური რეალიზმი და მშვიდობიანი მომავლისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა თავისას იზამს. ჩვენ გვჯერა, რომ ხალხებს უნარი შესწევთ დაიცვან თავიანთი სიცოცხლის უფლება.

ამ დღეებში საბჭოთა ადამიანები ფართოდ აღნიშნავენ დიადი გამარჯვების 40 წლისთავს. ისინი ჯეროვან პატივს მიაგებენ თავიანთ მოკავშირეების — ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილეების წვლილს საძულველი ფაშიზმის განადგურების საქმეში. ჩვენ გვახსოვს მედგარი ფრანგი პატრიოტები — ჯარისკაცები და პარტიზანები, რომლებმაც თავიანთი ძალისხმევით საგრძნობლად მოაახლოვეს ჩვენი საერთო გამარჯვება.

ჩვენი ღრმა რწმენით, დღეს ამქვეყნად არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ ავაშოროთ კაცობრიობას ბირთვული განადგურების საფრთხე. და რაც უფრო აქტიურად და შეუპოვრად ილვაწებენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ამ ამოცანის გადასაწყვეტად, მით უფრო მეტი შანსი გვექნება წარმატებისა.

**მ. გორბაჩოვი.**

—•—

**საფრანგეთის** ომის ვეტერანთა და მსხვერპლთა რესპუბლიკური ასოციაციის ეროვნულმა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საფრანგეთის ამ მასობრივი ორგანიზაციის წევრთა შორის ბევრნი საბჭოთა ადამიანებისა და ამერიკელების მხარდამხარ ებრძოდნენ ფაშიზმს მეორე მსოფლიო ომის წლებში. ფრანგი ომის ვეტერანები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ მსოფლიოში გაჩაღებული გამალებული შეიარაღების გამო. კარგად გვესმის, ნათქვამია წერილში, რომ ორი სახელმწიფოს სამხედრო კონფლიქტი გარდაუვალად გადაიზრდებოდა ბირთვულ ომად, რაც კატასტროფულ და შეუქცევად შედეგებს დაატეხდა თავს მთელ კაცობრიობას.

წერილის ავტორები მიესალმებიან სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მორიგებას ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხებზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ, და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ განცხადებაში ამ მოლაპარაკების მიზნად გამოცხადებულია ეფექტიან მორიგებათა შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებას და დედამიწაზე მის შეწყვეტას, ბირთვული შეიარაღების შეზღუდვასა და შემცირებას, სტრატეგიული სტაბილურობის განმტკიცებას.

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ მოლაპარაკება უკეთეს პირობებში წარიმართება, თუ შეწყდება კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის მეცნიერული კვლევა და საერთოდ მილიტარიზაციის დაწყება, ვინაიდან არ იქნებოდა ლოგიკური გვეწარმოებინა მოლაპარაკება გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის თავიდან აცილების თაობაზე და იმავდროულად დაგვეწყო ეს ეტაპი. დიალოგი გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნებოდა, მოლაპარაკების განმავლობაში რომ შეწყვეტილიყო ახალი რაკეტების განლაგება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ვეძებოთ მორიგება უფრო ჯანსაღ ვითარებაში.

დოკუმენტის დასასრულს გამოთქმულია სურვილი, რომ ჟენევის მოლაპარაკებამ გაამართლოს ხალხთა იმედები.

# ლეგენდის სადარი...

**ერთხელ** ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის ახალგაზრდა კორესპონდენტი შეხვდა მელიტონ ქანთარიას და ჰკითხა:

— ნუთუ თქვენ მართლა არა გაქვთ არც ერთი ომამდელი სურათი? გთხოვთ გვიშოვოთ, ძალიან გვინდა გამოვაქვეყნოთ.

— ახალგაზრდავ, იცით, რომ მე 1945 წლის 30 აპრილს დავიბადე? — ეშმაკური ღიმილით ეუბნება მას ქანთარია. დიახ, ასე ჩაიწერეთ: 21 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით, როცა რაიხსტაგზე მ. ეგოროვთან ერთად წითელი დროშა აღვმართეთ, სწორედ მაშინ დავიბადენით ორთავენი. ამიტომ ომამდელი ფოტოსურათი ნამდვილად არა მაქვს.

ეს ისეთი ხუმრობაა, რომელშიც სიმართლე ურევია. მართალია, მელიტონი მაშინ ოცდახუთი წლისა იყო, მაგრამ როგორც ლეგენდის სადარი გმირი იმ მომენტში დაიბადა და თამამად შეაბიჯა უკვდავებაში.

რთული და ნარეკლიანი გზა გაიარა მელიტონ ქანთარიამ. ომის წლების მოგონებები ცოცხლობენ მის მეხსიერებაში. ომში იგი ჩაება 1941 წლის 22 ივნისს დასავლეთის საზღვარზე, იბრძოდა ბოლომდე, 1945 წლის 9 მაისამდე. ოთხჯერ დაიჭრა და მოკლე დროში ისევ ფრონტს დაუბრუნდა. იმ ბობოქარ დღეთა ორომტრიალში ბერლინის ოპერაციას მაინც გამოკვეთილი ადგილი უჭირავს.

ბერლინს ჰიტლერელთა სარდლობა მიუვალ სიმაგრედ თვლიდა. მის დასაცავად აქ თავმოყრილი იყო მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა სარდლობის ჰუმანურ წინადადებაზე — შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და თავიდან აეშორებინათ უაზრო სისხლისღვრა, ფაშისტებმა უარით უპასუხეს.

გათენდა იერიშის დაწყების დღე, 16 აპრილი. უღრუბლო, მზიანი დარი იდგა. ათასი საარტილერიო იარაღი და ნაღმსატყორცნი ბომბავდა მტრის უკანასკნელ ბუნაგს. სმენის გამაყრუებელი კანონადის დროს ჰაერში აიჭრა „ილების" დიდი ჯგუფი, მათი თანხლებით მძიმე ბომბდამშენი თვითმფრინავების ესკადრილია ერთიმეორის მიყოლებით მასობრივად ბომბავდა მტრის პოზიციებს. საბჭოთა მფრინავები ეხმარებოდნენ იერიშისათვის განლაგებულ ქვეითებს გზა გაეწმინდათ ბერლინისაკენ.

იმ დროს, როცა ჩვენი ნაწილები შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ, მოულოდნელად ჰაერში გაიშალა პატარა პარაშუტი, რომელზეც რაღაც უცნაური ნივთი ეკიდა. იგი აღმოჩნდა ერთი მეტრის სიგრძის ლითონის გასაღები, რომლის ყუნწზეც ამოკვეთილი იყო წარწერა „1760-1945" წწ.".

ამ უჩვეულო სუვენირის ისტორია ასეთია. ჯერ კიდევ 185 წლის წინათ, 1760 წლის 9 ოქტომბერს რუსეთის ჯარებმა გენერალ ჩერნიშევის სარდლობით ბერლინი აიღეს და ხელთ იგდეს მისი გასაღები, რომელიც ახლა ლენინგრადის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება. ფაშისტთა დედაქალაქზე იერიშის დაწყების წინ, ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის მუშებმა გადაწყვიტეს გაეკეთებინათ ამ გასაღების ასლი და გაეგზავნათ იგი მოწინავე ხაზზე მებრძოლი ჯარისკაცებისათვის. მუშები საბჭოთა მეომრებს სთხოვდნენ ამ სიმბოლური გასაღებით გაეღოთ ბერლინის ალაყაფი და დაეჩქარებინათ ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვება.

ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, რომ ჩვენს ჯარებს ბერლინის გასაღები გამოუგზავნეს და დადგა ნანატრი დრო შევაღოთ ან შევამტვრიოთ მისი კარიბჭენი, დავიკავოთ ქალაქი.

ამასთან ერთად თვითმფრინავებმა ჩამოყარეს ფრონტის სარდლის, მარშალ გ. ჟუკოვის მოწოდებანი. ერთ-ერთში ნათქვამი იყო: მებრძოლო მეგობრებო! უმაღლესმა მთავარსარდალმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა სამშობლოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ჩვენი ფრონტის ჯარებს უბრძანა გავანადგუროთ მოწინააღმდეგე ბერლინის მისადგომებთან, დავიკავოთ ფაშისტური გერმანიის დედაქალაქი ბერლინი და აღვმართოთ მის თავზე გამარჯვების დროშა.

ამ მოწოდებამ აღაფრთოვანა საბჭოთა მეომრები. ცხარე ბრძოლებში გაილია აპრილი. შეტევა დაიწყო. მზვერავთა ერთი ჯგუფი ბრძანების მოლოდინში შპრეეს ნაპირზე არის ჩასაფრებული.

— ხიდი ალბათ დანაღმულია, ვერ გავალთ, — ჩასჩურჩულა ქანთარიამ მის გვერდით გაწოლილ მიხეილ ეგოროვს.

თენდებოდა გადამწყვეტი იერიშის დღე — 1945 წლის 30 აპრილი. ეს არა მარტო საბჭოთა მებრძოლებისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის ისტორიული დღეა და მისი დავიწყება შეუძლებელია. როგორც კი ინათა, ჩვენმა არტილერიამ გამანადგურებელი ცეცხლი დაატეხა რაიხსტაგს, კენიგპლაცს — სამეფო მოედანს, კროლ-ოპერასა და ბრანდენბურგის ალაყაფს.

გახურებული ბრძოლების დროს 756-ე პოლკის მეთაურის თ. ზინჩენკოს სათვალთვალო პუნქტში ტელეფონმა დაიწკრიალა.

— თედორე მათეს ძევ — გაიგონა მან 150-ე დივიზიის მეთაურის ვ. მ. შატილოვის ხმა — სად არის დროშა?

— დროშა სათვალთვალო პუნქტში მაქვს. აგერ ჩემ გვერდითაა.

— მერედა რატომ მოიერიშეთა მწკრივს არ მიუძღვება იგი წინ?

— ახლავე გავგზავნი მზვერავებს — უფროს სერჟანტს ეგოროვს და უმცროს სერჟანტს ქანთარიას. ვეფხვივით ბიჭები არიან. თქვენ მათ კარგად იცნობთ!

გამაყრუებელ სროლაში გაისმა ძახილი:

— ქანთარია და ეგოროვი პოლკის მეთაურთან!

უმალვე გამოცხადდნენ ისინი შტაბში. პოლკოვნიკმა ზინჩენკომ ყურადღებით შეათვალიერა ორივე.

— დიდი ხანია ერთად იბრძვით? — იკითხა მან.

— ვისლიდან მოკიდებული სულ განუყრელად, ამხანაგო მეთაურო! — იყო პასუხი.

— ხედავთ იმ რუხ შენობას? მეომრები პოლკოვნიკმა ფანჯარაში გახედა. — ეს რაიხსტაგია. თქვენ, ბიჭებო, წილად გხვდათ ძალზე დიდი პატივი, აიტანოთ ეს დროშა მის გუმბათზე!

— მზად ვართ, არ შეგარცხვენთ, ამხანაგო პოლკოვნიკო! — საზეიმო ხმით წარმოთქვა მიხეილმა.

— ამხანაგო სერჟანტებო, გაძლევთ პასუხსაგებ დავალებას, რომელზეც შეიძლება ოცნებობდეს ყოველი საბჭოთა ჯარისკაცი, შეიჭრებით რაიხსტაგში და მის ყველაზე მაღალი კოშკის შპილზე აღმართავთ სამშობლოს წმიდა დროშას! ამოცანა გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო! — ომახიანად დასჭექა ქანთარიამ.

— შეასრულეთ. გისურვებთ წარმატებას! ამ სიტყვებით მან შალითაში გახვეული დროშა გადასცა ქანთარიას.

არხამდე რომ მივიდნენ, იქ ბატალიონის მეთაურმა ნეუსტროევმა დაარიგა ისინი და უთხრა:

— თქვენ ლეიტენანტი ბერესტი და მისი მზვერავთა ჯგუფი ბოლომდე გამოგყვებათ და დაგიცავთ. აბა, წინ!

ყოველი მეტრის გავლა ათას სიკვდილს უდრის, მაგრამ სამშობლოს მედროშენი შეუდრეკელნი არიან. ისინი უშიშრად მიიწევენ წინ. აი უკვე პირველ სართულს მიაღწიეს და კოლონების ქვეშ არიან. ექვსი კოლონაა. რომელ მათგანზე მიამაგრონ დროშა?

— ახლავე, მიშა, — წამოიძახა ქანთარიამ და ქამარი შემოიხსნა, —ამით მივაკრათ. ეგოროვმაც შეიხსნა ქამარი.

— ააა, ესეც წაიღე, ზემდეგი არ გაგვიჯავრდება.

ორი ქამარი ერთმანეთზე გადააბეს და დროშის ტარი მაგრად მიაკრეს მარმარილოს გამურულ კოლონას. დროშა გაიშალა და თითქოს წითელმა ალმა იქაურობა გააცისკროვნა.

— რაიხსტაგზე წითელი დროშა ფრიალებს. ვაშა!..

მოედანზე ჩასაფრებულმა მებრძოლებმა დაინახეს დროშა და ოვაციების ძახილმა შეძრა მიდამო.

— ჩვენები რაიხსტაგში არიან. თვით გენერალი შატილოვი ასე იგონებს ამ მომენტს:

— დროშა სად არის, დროშა? თქვენ ხედავთ თუ არა მას? — მეკითხება ტელეფონით კორპუსის მეთაური პერევერტკინი.

— დროშა რაიხსტაგთანაა მთავარი შესასვლელის მარჯვენა მხარეს, მარმარილოს სვეტზეა მიმაგრებული. შიგნით კი მძაფრი ბრძოლებია გაჩაღებული. ყველაფერს ვღონობ დასახული ამოცანის შესასრულებლად.

კორპუსის მეთაურმა ეს ამბავი თავდაპირველად მე-3 დამკვრელი არმიის სარდალს ვ. ი. კუზნეცოვს მოახსენა, შემდეგ კი რაციით — საბჭოთა კავშირის მარშალს გ. კ. ჟუკოვს. მარშალმა ეს ისტორიული ცნობა მოსკოვში უმაღლეს მთავარსარდალს გადასცა.

ცხარე შეტაკებები შენობაში კვლავ გრძელდებოდა. ესესელები თავგამეტებით იბრძოდნენ, რომლებსაც ხელმეორედ შესთავაზეს შეეწყვიტათ წინააღმდეგობა, მაგრამ ამაოდ. მაშინ 17 საათსა და 50 წუთზე დაიწყო შეტევა. რაიხსტაგი ჭურვების აფეთქებათა კვამლში გაეხვია.

ნეუსტროევისა და დავიდოვის ასეულებმა ბრძოლა მეორე სართულზე გადაიტანეს. მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ეგოროვი და ქანთარია. მებაირაღეებმა ამჯერად დროშა მეორე სართულის ფანჯარაში გამოჰკიდეს.

— გამარჯვების დროშა უფრო მაღლა და მაღლა მიიწევს! ისმოდა ხმები.

— სად არის დროშა? —ეკითხება ტელეფონით გენერალი შატილოვი ზინჩენკოს.

— ჯერჯერობით მეორე სართულზეა. ბერესტი და სიანოვი თავიანთი მებრძოლებით ერთი ნაბიჯითაც არ შორდებიან ქანთარიასა და ეგოროვს.

როგორც იქნა მებაირახტრეებმა მიაღწიეს მესამე სართულს. მაგრამ სახურავზე ასასვლელი ხრახნილი კიბე ჩამონგრეულია, ქანთარიამ საიდანღაც მოიტანა ხის გრძელი კიბე და იმით აძვრნენ სხვენზე. იქიდან კი სახურავზე გავიდნენ. სახურავი მოლიპულია, მაგრამ ისინი მაინც მიხოხავენ წვერისაკენ. როცა დროშა ქანთარიას მიაქვს, ეგოროვი მას უკან მისდევს, შემდეგ იგი დროშას მეგობარს გადასცემს და წინ გაუშვებს, უკან კი მცველად მიჰყვება.

ჰაერი დამწვრის სუნით, ხანძრის კვამლით, მჟავრტლითაა გაჟღენთილი. სუნთქვა ჭირს. ჯოჯოხეთური ენერგიის დახარჯვის ფასად ისინი ყველაზე მაღალ თხემზე მოექცნენ, სადაც ერთი ციცქნა მოედნის მაგვარი იყო და ირგვლივ ლითონის პატარ-პატარა მილები ერჭო (როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ზეიმის დღეებში ფაშისტები აქ თავიანთ დროშებს გამოჰკიდებდნენ ხოლმე). მილები ნახევარი მეტრის სიმაღლის მაინც იქნებოდა. შუაშიც ასეთივე მილი დაეყენებინათ. სწორედ შუათანა მილის დიამეტრი დროშის ტარის ტოლი იყო. იგი კარგად მოერგო მას და დროშაც საიმედოდ დაამაგრეს მასზე. ეს იყო 21 საათს და 50 წუთზე, 30 აპრილს, 1945 წელს. თითქმის რვა საათზე მეტი დასჭირდათ მედროშეებს მოედნიდან აქ ამოსასვლელად. ეს დრო კი მათ საუკუნედ ეჩვენებოდათ.

ახლა შეიძლებოდა სულის მოთქმა. მებრძოლები იმ პატარა მოედანზე მოცელილივით დაეყარნენ, რათა დაესვენათ. ქვევით ძლიერი სროლა ატყდა, ეს სალუტი იყო. ჯარისკაცებმა გამარჯვების დროშას პატივისცემის ნიშნად სალუტი მიუძღვნეს.

მედროშენი ჩამოვიდნენ სათვალთვალო პუნქტში, პირველ სართულზე. პოლკის მეთაური ზინჩენკო მივიდა მათთან, ხელი ჩამოართვა, გადაეხვია და თქვა:

— არწივები ხართ, ბიჭებო! ნამდვილი ყოჩაღი ჯარისკაცები. გმადლობთ, წადით დაისვენეთ, თქვენ ეს დაიმსახურეთ.

დროთა კრიალოსანზე უკვე 40 წელი ჩამოიმარცვლა, მაგრამ იმ დღეთა ელვარება არასდროს დაიბინდება.

დემობილიზაციის შემდეგ მ. ქანთარია ტყვარჩელის ერთ-ერთ შახტში მუშაობს, შემდეგ ოჩამჩირეში — ზღვის სანაპიროს გამაგრებაზე. მშვიდობიან პერიოდში მამაცური შრომისთვის იგი მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ძველი მეომარი ახლაც შრომის ფერხულშია. მაგრამ მისი უდიდესი საქმიანობა მაინც ბრძოლაა... ბრძოლა მშვიდობისათვის. დაუღალავად მოგზაურობს მოკავშირე რესპუბლიკებში, სოციალისტურ ქვეყნებში. მოიარა 120 ქალაქი. ყველგან სასურველი სტუმარია და მშრომელთა შეხვედრებზე მგზნებარედ მოუწოდებს მათ იბრძოლონ მშვიდობის დასაცავად.

— რას ინატრებდით ყველაზე უფრო, პატივცემულო მელიტონ? ხშირად ეკითხებიან ძველ მეომარს.

— თვალს ვავლებ განვლილ გზას და ხანდახან ოცნებაში გადავეშვები ხოლმე. იქნებ ხალხური ზღაპრიდან გამომეცხადოს ყოვლისშძლე ჯადოქარი თავისი გრძნეული კვერთხით და მკითხოს, რას ვისურვებდი? მე უმალვე შევევედრებოდი მხოლოდ ერთს:

— დაე იყოს ჩვენს მშვენიერ დედამიწაზე მარადიული მშვიდობა. იცოცხლონ ხალხებმა ომისა და ხოცვა-ჟლეტის, ნგრევისა და აწიოკების გარეშე. ისტორიიდან სამუდამოდ ამოიფხვრას ომის სახსენებელი.

**ბ. მათითაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.







● ბერლინი. 1945 წლის 30 აპრილი. გამარჯვების დროშა რაიხსტაგზეა.

● ბერლინი. 1945 წლის 2 მაისი. სჭექს ჯარისკაცური „ვაშა!".

● მოსკოვი, წითელი მოედანი. 1945 წლის 24 ივნისი. გამარჯვების პარადზე.

# სამი მეგობარი

**გუშინდელ** დღესავით მახსოვს ჩემი მებრძოლი თანაპოლკელები, სახელოვანი გვარდიელი ტანკისტები, ქართველი ხალხის ღირსეული შვილები: გვარდიის უფროსი ლეიტენანტი მიხეილ ალხაზიშვილი, გვარდიის პოდპოლკოვნიკი გიორგი ხუციშვილი, გვარდიის კაპიტანი საშა ადამიძე.

სხვადასხვანაირად წარიმართა ჩემი ქართველი თანამებრძოლების ბედი. ჩვენ ყველანი ვირიცხებოდით მესამე გვარდიული სატანკო კორპუსის მეცხრამეტე ბრიგადაში.

მიხეილ ალხაზიშვილი დაინიშნა 175-ე საარტილერიო ბატალიონის კომისრად. შემდეგ კი გაგზავნეს სატანკო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და მესამე კორპუსში სატანკო ოცეულს მეთაურობდა.

მიხეილის ოცეული მალე ჩაება ბრძოლებში.

... ტყის თავზე წითელი რაკეტა აიჭრა, გაისმა ბრძანება „მანქანებში, შეტევისათვის", — ეს იყო ბატალიონის მეთაურის ხმა. მცირე საარტილერიო მომზადების შემდეგ ტანკები შეტევაზე გადავიდნენ. ალხაზიშვილის სატანკო ოცეული ბატალიონის მარცხენა ფლანგზე აღმოჩნდა. დაიწყო მძიმე ბრძოლა. ოცეულმა ისარგებლა მთაგორიანი რელიეფით და მოწინააღმდეგის ჯავშანტრანსპორტიორებს შეუტია, გაანადგურა მტრის სამი ჯავშანტრანსპორტიორი და ორი ქვემეხი. დამთავრდა ბრძოლა, კორპუსის კომისარმა, პოლკოვნიკმა სელიანინმა მიულოცა გვარდიელებს საბრძოლო ნათლობა.

ჩერნიგოვის ოლქის ქალაქ ოსტიორის მისადგომებთან ერთ-ერთ ბრძოლაში მ. ალხაზიშვილის სატანკო ოცეული დაინიშნეს ბატალიონის მზვერავ მეთაულყურედ. მისი ტანკი ყველაზე წინ მიდიოდა, გზადაგზა ანადგურებდა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილებს. მან მოხერხებულად გამოიყენა ადგილმდებარეობა, გავიდა მტრის ზურგში, მტერს მოულოდნელი სროლა აუტეხა. გერმანელებმა მიატოვეს ჯავშანტრანსპორტიორები და პანიკით მოცულნი უკუიქცნენ მდინარე დნესტრისაკენ.

ასეთი ეპიზოდებით აღსავსეა მ. ალხაზიშვილის საბრძოლო გზა.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავზე, მოსკოვში კორპუსის ვეტერანთა შეკრებაზე მოულოდნელად შევხვდი გვარდიის უფროს ლეიტენანტს ალხაზიშვილს. თვალებს არ ვუჯერებდი, იგი ხომ ყველას დაღუპული გვეგონა.

მ. ალხაზიშვილი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, მრავალი მედლით, მიღებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის შვიდი მადლობა. გამოჯანმრთელების შემდეგ მ. ალხაზიშვილი ჩაება მშვიდობიან შრომაში. ამჟამად ცხოვრობს საგურამოში.

გვარდიის თადარიგის პოდპოლკოვნიკი გიორგი ხუციშვილიც ჩვენს სატანკო კორპუსში ირიცხებოდა. იგი იბრძოდა მოსკოვთან, სტალინგრადთან და ბოლოს ელბამდე მივიდა. თავიდან გ. ხუციშვილი ტანკების შემკეთებელ ქვედანაყოფს მეთაურობდა.

სატანკო ბრიგადაში, სადაც მე სადაზვერვო ნაწილს ვხელმძღვანელობდი, ხუციშვილი თავდაუზოგავად, მტრის ცეცხლის ქვეშ არემონტებდა ტანკებს, გამოჰქონდა ბრძოლის ველიდან დაზიანებული მანქანები და მისი ვარგისი ნაწილები. სარემონტო-საევაკუაციო ბრიგადამ ხუციშვილის მეთაურობით ომის პერიოდში 380-მდე ტანკი შეაკეთა.

გ. ხუციშვილი დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის და II ხარისხის სამამულო ომის ორდენებით და მედლებით, მათ შორის მედლით „პოლონეთის განთავისუფლებისათვის". დემობილიზაციის შემდეგ მან დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და როგორც ინჟინერ-მექანიკოსი მუშაობს ქ. სოხუმში, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს.

გვარდიის კაპიტანმა ალექსანდრე (საშა) ადამიძემ ომის მკაცრი და გრძელი გზა გაიარა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო მტერზე გამარჯვებას.

1944 წლის ივლის-აგვისტოში ბელორუსია-ლიტვის საზღვარზე გაიშალა მძიმე ბრძოლები. ჩვენი სატანკო კორპუსი სხვა ნაწილებთან ერთად მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ფაშისტებს. კაპიტან ადამიძის ასეული მტრის გარემოცვაში მოყვა. ერთ-ერთი შეტევის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა სატანკო ბატარეის მეთაური, მაიორი შიშოვი. ამავე ბრძოლაში დაიღუპა მეავტომატეთა მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, კაპიტანი კალაშნიკოვი. კაპიტანმა ადამიძემ გადაწყვიტა ბრძოლის ველიდან გაეყვანა დაღუპული მეთაურები, მაგრამ მტრის ტყვიამ მოუსწრო და ადამიძეც მათ გვერდით დაეცა. კაპიტანი ადამიძე და მაიორი შიშოვი დაკრძალული არიან საძმო სასაფლაოზე ბელორუსიაში. ისინი გმირულად დაიღუპნენ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

**ბ. პლატიცინი,**
გადამდგარი გვარდიის პოლკოვნიკი.




# საზეიმო კრება

**გერმანიის** მიწა-წყალზე მუშურ-გლეხური სახელმწიფოს არსებობის წლებში ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების შემდგომად მჭიდრო მეგობრობისა და თანამშრომლობის წლებიც იყო. ეს აღინიშნა ქალაქ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების 6 მაისის საზეიმო კრებაზე, რომელიც ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 40 წლისთავს მიეძღვნა.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ვოროტნიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. პ. ნიკონოვი, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხედართმთავრები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ე. ვინკელმანმა თქვა, რომ 40 წლის წინათ საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გმირობა მოახდინა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მხურვალედ უჭერს მხარს სსრ კავშირის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, საბჭოთა სახელმწიფოს ახალ სამშვიდობო ინიციატივებს. (საქტასი).

# დელეგაციების გამგზავრება

**ჩეხოსლოვაკიის** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 7 მაისს პრაღაში ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 40 წლისთავთან და ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვებასთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის გაემგზავრა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ი. დოლგიხის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. მარჩუკი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. პ. ლომაკინი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

**აეროდრომზე** დელეგაციას დახვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი და სხვა ოფიციალური პირნი.

**პოლონეთის** გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 7 მაისს მოსკოვიდან ვარშავაში ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის გაემგზავრა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. დიმშიცი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ნ. აქსიონოვი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ვ. რომანოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

**ამავე** დღეს დელეგაცია ვარშავაში ჩავიდა.

აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ბარჩიკოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. გორივოდა და სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

**ბულგარეთის** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით 7 მაისს მოსკოვიდან სოფიაში ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის გაემგზავრა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ვ. კაპიტონოვის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. პ. რიაბოვი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ლ. ი. გრეკოვი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. პ. ნიკონოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

**სოფიის** აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჩ. ალექსანდროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები გ. ათანასოვი და ი. ლუკანოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტანიშევი, სხვა ოფიციალური პირნი. (საქტასი).




# გულის ნატვრა

## ომგადახდილის უბის წიგნაკიდან

კარგა ხნის ამბავია, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს. ნაქალაქარის ტრამალზე რკინიგზის პატარა სადგური გულმაგივით მარტო იდგა.

მაშინდელ რუსთავს ერთადერთი მშენებელთა ქუჩა გადაჰკვეთდა, ისიც ჯერ სანახევროდ მოასფალტებული. ქუჩას ორივე მხარეს ხის დროებითი ნაგებობანი გასდევდა. კაპიტალური შენობები თითზე ჩამოსათვლელი იყო.

ახლად დარგულ ნორჩ ხეებს მომძლავრებული ქარი ლერწამივით ღუნავდა და ლამის მიწაზე აწვენდა, ხელის გულივით მოშიშვლებულ ველზე ქარაშოტი ნებიერად დათარეშობდა და გზაზე კანტიკუნტად მიმავალთ ისე ძალუმად აწვებოდა, წაქცევას ცოტაღა უკლდათ.

იძულებული გავხდი, ქარის მიმართულებით გავყოლოდი ახალ ქუჩას. ქარმა მაინც არ მიხათრა, ანაზდად ქუდი მომშლიპა და ფრიალ-ფრიალით წაიღო მოუსავლეთისაკენ. დადევნება არ ღირდა და ხელი ჩავიქნიე.

ქუდის დაკარგვას ვიღა ჩიოდა. ხეტიალში დრო თვალსა და ხელს შუა შეუმჩნევლად გამპარვოდა და, თუ არ ვიჩქარებდი, რედაქციის დავალება — დამეწერა ნარკვევი მშენებლებზე — შეუსრულებელი დამრჩებოდა, თბილისისაკენ მიმავალი ელექტრომატარებელიც გამასწრებდა.

ქარს ძალა მიელია და ისევე უცებ ჩადგა, როგორც ამოვარდა.

აგურით სანახევროდ აგებულ შენობასთან ჟირაფივით კისერწაგრძელებული ამწე რომ დავინახე, მყისვე იქით გავეშურე.

ხარაჩოზე მდგარი კალატოზი თვითსაცლელის მძღოლს რაღაცას ედავებოდა.

— მოგიტანთ ჰო, სული ნუ ამომართვით, რა ჩემი ბრალია, თქვე მამაცხონებულებო, ისე ჩქარა აშენებთ, რომ აგურის მოზიდვას ველარ აუვედი...

დაიმედებული კალატოზი პარაპეტზე ჩამოჯდა. შუბლზე ხელი მოიჩრდილა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გადაღმა დაცემულ ტრიალ ველს დაბეჯითებით მიაჩერდა. ფიქრებში ისე ჩაძირულიყო, რომ ჩემი მიახლოება არც კი შეუნიშნავს.

— რას უყურებ, ოსტატო? — ქვემოდან ამოსძახა ჯმუხმა ჭაბუკმა, რომელიც ძალაყინით ბეტონის ფუნდამენტს ფიცარნაგს აცლიდა.

— ქალაქს!

— არ გამაგიჟო, იმ უკაცრიელ ტრამალზე ქალაქს რა უნდა?..

— განა ასეთივე უკაცრიელი არ იყო ცოტა ხნის წინათ ის ადგილიც, სადაც ჩვენ ახალი უბნები გავაშენეთ? გუმანით წარმოვიდგინე, ბიჭო, მომავალი ქალაქის მტკვარგაღმა ნაწილიც და გული სიამაყით ამევსო იმის გამო, რომ ისიც ჩვენი ნახელავი იქნება!

— უცნაური კაცი ხარ, არსენ; ისე კი არ გაგემტყუნება. მეც რატომღაც, გული მეუბნება, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპირო უფრო უპრიანი იქნება საცხოვრებლად. აუცილებლად იქ ავიღებ ბინას, როცა დავოჯახდები...

ამასობაში თვითსაცლელებმა აგური შემოზიდეს და კალატოზები ცეცხლივით შეენთნენ საქმეს. მათი მოცდენა დანაშაულად მივიჩნიე და ისევ ქვემო სართულზე მოფუსფუსე ჭაბუკს მივაკითხე. ბოლო ფიცარსღა ხსნიდა. დამინახა თუ არა, ძალაყინი იქვე მიაგდო. მივესალმე. დაკოჟრილი ხელი გამომიწოდა და, მე რომ ჩემი ვუთხარი, იმანაც თავისი ვინაობა გამაცნო:

— გერასიმე გუსაკოვი.

გამოხუნებულ გიმნასტურაზე მხოლოდ სამხრეულის ადგილები დარჩენოდა ფერუცვლელი, საყელოს ფერად დანაკეცებზე კი მესანგრის სიმბოლური ნიშნები მოუჩანდა.

— სადაური ხარ, ძმობილო?— ვეკითხები.

— მოზდოკელი.

— გეტყობა, სამხრეები ახალი მოხსნილი უნდა გქონდეს, ჯარში მსახურობდი?

— ჰო, სამი წელი დავყავი ფრონტზე. მესანგრეთა ბატალიონში ვიყავი. ბოლო მძიმე ჭრილობა რომ მივიღე და ფეხი დამიზიანდა, მწყობრისათვის უვარგისად ჩამთვალეს და რუსთავის საგზური მომცეს — იქ უფრო სჭირდებიო ქვეყანას და აგერ, ხუთი წელი იწურება, მშენებლობაზე ვმუშაობ. მესახელება, რომ ამ ქალაქის პირველი კაპიტალური სახლის საძირკვლის ჩაყრაში ცნობილ კალატოზებთან გიორგი მაისურაძესთან, უკრაინელ კონსტანტინე ლიხოტასთან და სხვებთან ერთად მეც მიდევს წვლილი.

აქ რომ ჩამოვედი, როგორც ყოფილმა ჯარისკაცმა, თავდაპირველად სამხედრო კომისარიატს დავუწყე ძებნა. ვისაც ვკითხე, ვერავინ მიმასწავლა.

— კომისარიატი რად გვინდა, ბიჭო, — ღიმილით მითხრა გადამდგარმა მაიორმა საბა გომელაურმა, რომელიც მაშინ სამშენებლო ტრესტის არასაუწყებო დაცვას ხელმძღვანელობდა, — დაიხსომე, რუსთავი რესპუბლიკაში ერთადერთი ქალაქია, რომელსაც არ დასჭირდა ფრონტზე ჯარისკაცის გაგზავნა.

— უბედნიერესი ქალაქი ყოფილა. ნეტა მისი ბედისა გამოდგეს მომავალში ჩვენი პლანეტის ყველა ქალაქი და სოფელი. მაშინ რაღა გვიჭირს, მშვიდობა სამარადჟამოდ განადგურებული გვექნება!

თანხმობის ნიშნად, მაიორმა მხარზე ღონივრად დამკრა ხელი.

გერასიმემ კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე დაკიდებული ფიჯაკი ჩაიცვა, მკერდზე სამ რიგად ეკეთა საბრძოლო ჯილდოთა მანიშნებლები.

მერმე გადმოპირქვავებული ხის ყასრები მოაჩოჩა. ერთზე თვითონ ჩამოჯდა, მეორე მე შემომთავაზა.

— ხომ არ ინებებთ? — მითხრა გუსაკოვმა და ბჭყვიალა ლითონის სათუთუნე გამომიწოდა.

-- გმადლობთ, არ ვეწევი.

— დამიჯერებთ? არც მე ვეწეოდი. ფრონტის სამი ჯოჯოხეთური წელი ისე მოვითავე, რომ ეს ეშმაკის მონაგონი პირში არ ჩამიდია, ახლა კი ველარ ვეშვები, ვიმჭვარტლავ ფილტვებს.

— რამ გაიძულათ?

— გრძელი ამბავია, ძმაო, მაგრამ მოკლედ გეტყვით,—გერასიმემ მაჯის საათს დახედა,—თუმცა სამუშაო დრო უკვე ამოწურულია, ელექტრომატარებლის გასვლამდე ერთი საათია, მოდით, ნელ-ნელა გავუყვეთ პლატფორმისაკენ და გზაში გიამბობთ.

— კეთილი.

მოხრეშილ გზას დავადექით. მე ცნობისწადილმა უფრო მეტად წამძლია და მოსასმენად მოვემზადე, მაგრამ ვიდრე გერასიმემ ქაღალდის ჩიბუხი ისევ „მახორკით“ არ ამოტენა და არ მოქაჩა, სიტყვაც არ დასცდენია. მერმე კი ბოლქვებად გამოშვებულ კვამლს დინჯად გააყოლა მზერა და დაიწყო:

— ჩვენს ოცეულში ერთი ეფრეიტორი მსახურობდა — თქვენი თანამემამულე. გრძელი, ჩახლართული გვარი ჰქონდა — მე... ჩური... შვილი. გამოთქმა გვიჭირდა. ამიტომ ყველანი სახელით მივმართავდით. შალიკო ერქვა...

— მეჭურჭლიშვილი იქნებოდა, ქიზიყიდან, — დავუზუსტე ეფრეიტორის გვარი და სადაურობა.

— სწორედ ეგრეა. ამ გვარს კი ახლაც ვერ ვამბობ ხეირიანად. რა ვქნა, ძმაო, მიჭირს ზოგიერთი ქართული ასოს გამოთქმა, მაგრამ, იმედია, ამასაც დავძლევ... ჰო, იმას მოგახსენებდით, სანაქებო ბიჭი იყო— ახოვანი, მხარბეჭიანი, მამაცი, მოსაზრებული, სიტყვამოსწრებული, თანამებრძოლთა გამტანი და, აბა, ჯარისკაცი თუ ასეთია, იმას რაღა ჩინ-მედლები უნდა? თუმცა არც ჩინ-მედლები აკლდა, დიდი ხანი არ იყო, რაც ჩვენთან გადმოიყვანეს და ერთი თვის თავზე გვარდიელად მონათლეს. მერმე ხიდის მოხერხებულად განნაღმვისათვის საბრძოლო მედალიც გაიკრა.

ხომ გაგიგონიათ, ერთი პირი ძილი მდინარესაც მოუვაო. ჰოდა, დადგა პერიოდი, როცა ახალი წლის წინა დღეებში ომსაც მცირე ხნით წასთვლიმა. სროლა თანდათან მინელდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ძელმიწურში ვისხედით. ზემდეგმა ტილოშემოკრული ამანათი ჩამოგვაწოდა, შამხანის დანისპირით სასწრაფოდ გავხსენით. ზურგიდან საჩუქრად გამოგზავნილი ნივთები ძმურად გავინაწილეთ. მე თამბაქოთი სავსე სათუთუნე მარგუნეს, —აი, ეს, წელან რომ გამოგიწოდეთ, შალიკოს კი არყით სავსე მათარა შეხვდა. გადამეკიდა, გინდა თუ არა, გავცვალოთო. ბევრი აღარ ვახვეწნინე, მივეცი. ნანატრი ნივთი მაშინვე გადახსნა და პაპიროსი გააწყო. თუთუნის მუსუსი იყო შალიკო. ის რომ თამბაქოს გაახვევდა, ლაზათიანად გააბოლებდა, ცქერით ვერ გაძღებოდა კაცი. არაყი კი ჩვენი ათეულის მებრძოლებს ჩამოგვირიგა.

— რამდენს ექაჩები, ბიჭო, თავი არ გენანება? ბუხარივით მოგიქცევს ფილტვებს, სიცოცხლეს შეგიმოკლებს, — ვუსაყვედურე.

— დასანანი აქ რა არის. ომში სიცოცხლის შემმოკლებელი, ჩემო ძმაო, ტყვიაა მხოლოდ. თუ მოხვდა კაცს, ეწევა, არ ეწევა, მაინც მოკვდება. ჰოდა, ვიდრე ვსუნთქავ, ეს სიამოვნება რიღასთვის მოვიკლო? — უპასუხოდ არ მტოვებს ისიც.

მალე ისევ სანგრებში განვლაგდით. ყველამ თავ-თავიანთი ადგილები დავიკავეთ. ყიამათი ღამე იყო. სიცივე ძვალ-რბილში გვატანდა.

— ხომ არ წაგთვლიმა, გერასიმე? — მესმის შალიკოს ბუხუნა ხმა.

ახოვანი ვაჟკაცი სანგარში ვერ იმართებოდა. ერთი თავგაუფრთხილებელი ვინმე იყო. ადრეც შემიმჩნევია —სანგარში გავლისას იშვიათად თუ დაიხრებოდა. ახლაც ასევე მოიქცა და მოკიდებული პაპიროსი პირთან მიიტანა თუ არა, მოცელილივით ჩაიკეცა.

მაშინვე მასთან გავჩნდი. დავხედე. სასიცოცხლო პირი არ უჩანდა. ტყვიას შუბლი გაეხვრიტა. სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. არ დამიჯერებთ, მაგრამ გეფიცებით, ნამდვილად ასე იყო. სანგარში გულაღმა გაშოტილმა ერთი ნაფაზი დარტყმა კიდევ მოასწრო და ისე დალია სული, პაპიროსი პირიდან არ გაუგდია...

მეორე თუ მესამე დღეს, შეტევაზე გადასვლის წინ, სანგარში აი ეს სათუთუნე იპოვეს ჩვენმა ბიჭებმა და მომიტანეს.

თვალები აგვიწყლიანდა. მაშინ ბოღმამორეულმა ჩემს სიცოცხლეში პირველად გავაბოლე, მერე და მერე კი თუთუნის ქაჩვა რჯულზე უმტკიცეს ჩვევად გადამექცა, უამისოდ ვერ გამიძლია. ბევრი, ძალიან ბევრი ასეთი ოქრობიჭი შეიწირა ომმა, დაიქცა მისი მომგონი, —ამ სიტყვებით დაასრულა ეს სევდიანი ამბავი გერასიმემ და კიდევ ერთხელ ხელის ჩვეული მოძრაობით კოხტად გამოწყობილი ქაღალდის ჩიბუხი „მახორკით“ ამოტენა.

დიდი ხნის ნაცნობებივით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

მარტო რომ დავრჩი, კვლავ გამახსენდა გუსაკოვის ნათქვამი:

„რუსთავი რესპუბლიკაში ერთადერთი ქალაქია, რომელსაც არ დაჭირდა ფრონტზე ჯარისკაცის გაგზავნა. ნეტა მისი ბედისა გამოდგეს ჩვენი პლანეტის ყველა ქალაქი და სოფელი“...

კეთილად აგვსრულებოდეს!

**გიორგი გელაშვილი.**



---

ნოდარ ჯალაღონია ● რეპორტაჟი ხალხთა მეგობრობის მუზეუმიდან



## წარწერა ფასადზე

არც სარკოფაგი, და არც მუმია,
არცა ლეგენდა, და არც ზღაპარი —
ეს მეგობრობის მუზეუმია
და სიყვარულის თავშესაფარი.
ვინც კი ისურვებს, ვინც კი ინდომებს,
ვინც კი შეეწვევა სახლში მეგობრად,
ფრანგს თუ ინგლისელს, ჩეხს თუ ინდოელს
ეს ცა და მიწა ყველას ეყოფა...
აგერ ესპანელს ვარდის ტოტივით
მოაქვს გარსია ლორკას ლექსები,
და აფრიკელის ცხელი მოტივი
თბილისის ქუჩებს ეალერსება.
ის ჩინელია; ეს კი ზანგია,
ის კი მკვიდრია ძველი ელადის.
ეს დედამიწა თითქოს ჩანგია,
ამღერებული ყველა ენაზე.
ყველა ამ ცის და მიწის შვილია,
ენა ქართული, ენა ფრანგული...
ყველა ენა და ერი სიმია
ამ მარადიულ ჩანგზე გაბმული.
ამღერებული მისი სიმია,
მისი ჰანგია, მისი ფერები.
ფოლიანტებში ახლაც ტირიან
მკვდარი ენები, მკვდარი ერები.

## ომის დარბაზი

არც სარკოფაგი, და არც მუმია,
არცა ლეგენდა, და არც ზღაპარი
ეს მეგობრობის მუზეუმია
და სიყვარულის თავშესაფარი.
აგერ დაჭრილი და დასერილი
წიგნი, ფარაჯა, ქუდი, მათარა.
გახუნებული დედის წერილი,
ჯარისკაცმა რომ უბით ატარა.
აგერ სამელნე, აგერ ფანქარი,
აგერ პოეტის საწერ-კალამი,
აქ, ამ დარბაზში, ახლა რაც არი,
არის ჭრილობა დაუფარავი:
როცა უყურებ ნამსხვრევს ყუმბარის,
დაცლილ ვაზნებს თუ წიგნებს ნატყვიარს.
განა ეს ნივთი არის უბრალო,
განა ეს მარტო ექსპონატია?
თითქოს შენ თვალწინ ისევ ცოცხლდება
სახე გმირის და სახე სულმნათის,
მაგრამ ასევე გთხოვს შეცოდებას
ზოგი ნივთი და ზოგი სურათი.

## ტყვია

დევს ლურჯ ხავერდზე ნატეხი რკინის,
ნატეხი რკინის სულ ერთი ციდა.
მოწმე იმ წლების, იმ სისხლის წვიმის,
რომელიც სიკვდილს თესდა და მკიდა.
არა ნამგლად და არა სახნისად
რკინა, რომელიც იქცა ტყვიებად,
რკინა, რომელიც იქცა მახვილად,
სთხოვს შეცოდებას და პატიებას;
უხმოდ, უცრემლოდ, დაღუპულ მამებს,
შინმოუსვლელთა ჭაღარა შვილებს,
დედის ცრემლებით დაცხრილულ ღამეს
და ღამესავით დარჩენილ ქვრივებს.
დაკარგულ საფლავს, დაკარგულ სახელს,
მიჯნურს წუხილში მარტოდ დარჩენილს.
ჩამქრალ კერას და მოწყვენილ სახლებს
შინმოუსვლელ ჯარისკაცების.



## დედების ოთახი

თვით დედამიწაც ძაძებით დადის,
როცა დედები შავებს იცვამენ.
ეს ოთახია ცრემლის და დარდის,
უნდა დახაროთ თავი მიწამდე.
იციან წონა ავად თუ კარგად
ბაერის, წყალის, სინათლის, მიწის.
ამ ქვეყნად დედის ცრემლების გარდა
ყველაფრის ზომა და წონა ვიცით.
გამოთვლილია ათჯერ და ასჯერ
და ყველაფერი გარკვეულია;
რასაც არ ადევს ამქვეყნად ფასი
ეს ერთადერთი დედის გულია.
აქ, ამ ოთახში, როცა ტირიან,
როცა ტირიან შვილებს დედები,
მათი ცრემლები ქვა და კირია
ქვეყნად მშვიდობის ციხის კედლების.
ყველაფერია ცრემლი დედების,
ვინც დაინახავს და ვინც გაიგებს,
და სიბოროტის ციხის კედლებიც
დედების ცრემლით უნდა დაინგრეს.
დედების სევდა, დარდი კურცხალი
მოსულთა გულებს აღებს კარივით.
და ყველა გმირის ჭირისუფალი
რეკავს ოთახი დედაზარივით.

## გიორგი კელაპტრიშვილის ტყვიით გახვრეტილი კომკავშირული ბილეთი

ვისაც სახელი კომკავშირელის
გეამაყება და გიხარია.
უნდა შრომაში იყო პირველი,
რადგან მამული შენ გაბარია.
შენ, ვისაც გქვია კომკავშირელი
რწმენით, გულით და — არა ბილეთით.
უნდა სიკვდილშიც იყო პირველი,
რაკი მამულს აქვს შენი იმედი.
თუ რწმენას არ ხარ თან შეწირული
და მამულს გული თუ დააკელი,
მაშინ ბილეთი კომკავშირული
ქაღალდია და სხვა არაფერი.
შენ, ქალიშვილო, ან შენ, ჭაბუკო,
ამ სურათის წინ, როცა დადგები.
შენს გულში ძეგლი უნდა აუგო
რწმენას, გმირობას და თავდადებას.
უნდა მამულის ტვირთი აიღო
და შენი რწმენაც უნდა დაიცვა.
კელაპტრიშვილის ბიჭის არ იყოს,
კელაპტარივით უნდა დაიწვა.
ვინც კომკავშირის ბილეთს აჭლებ,
დაიმახსოვრე და ეს იცოდე;
არ დაივიწყო უნდა თარიღი
აი ამ ბიჭის სიკვდილ-სიცოცხლის.
თუმცა წლებია ქვეყნის პატრონი,
განა ყველაფერს შლის და ასწორებს,
ტყვია იმ ბიჭის გულში ნაპოვნი,
შენი გულისკენ იყო ნასროლი.
დიდხანს უყურე, წამით კი არა,
და სიამაყით წელში გასწორდი.
ტყვია, მის გულში რომ გაიარა,
საქართველოსკენ იყო ნასროლი.
ის ბიჭი წლებმა ველარ დამარხეს,
ისევ ტოლია შენი თაობის,
ნახე, შეხედე და იამაყე
შენი ასაკის გამბედაობით.
თუმც არ ეღირსა იმ ბიჭს მამობა,
შვილის აკვანი თუმცა ვერ ნახა,
შენ ხარ მისი შთამომავლობა,
მისი მემკვიდრე ახლა შენა ხარ.
არ დაივიწყო წლები გმირული,
ის, ვინც მტრების წინ წარბსაც არ ხრიდა.
გული,
რომელიც იმ კომკავშირულ
ბილეთთან
ერთად, ტყვიამ გახვრიტა.

## ფაშისტის სურათი

ნაჯახი გეპყრა თუ ოქროს კვერთხი,
მეფის ტახტი თუ შავი ხალათი.
ყველა მკვლელს გქვია სახელი ერთი,
და ეს სახელი არის
— ჯალათი.
არც ცოცხალი ხარ და აღარც მკვდარი,
მაგრამ ვინცა ხარ, კარგად იციან.
გამოიცვალე სახე და გვარი,
მაგრამ სული არ გამოგიცვლია.
შენ, ვინც მოჰკალი, ყველა აქ არი,
ზოგი სიმღერად, ზოგი ლექსებად.
სიცოცხლე შენი ხელით ჩამქრალი
დარჩნენ ხატებად, დარჩნენ ფრესკებად.
შენ, ვინც დახვრიტე, ივლის დიდებით,
დაფნის გვირგვინით და ტაშის ცემით.
შენ კი ყოველდღე დაიხვრიტები
ობლებისა და დედების ცრემლით.



## სისხლი

თბილისელი ქეთევან თელია სისტემატურად, უსასყიდლოდ უგზავნიდა თავის სისხლს დაჭრილ ჯარისკაცებს.

თუმც ჯარისკაცის ფორმა არ ეცვა
და გახუნებულ კაბას იცვამდა.
სამშობლოს მიწას, სინდისს და ზეცას
ისიც საკუთარ სისხლით იცავდა.
როცა დგებოდა სიკვდილის რიგი
და ჭირდა მკვდრისგან ცოცხლის გარჩევა,
თავის სიცოცხლეს ხარჯავდა იგი,
სხვების სიცოცხლის გადასარჩენად.
როცა დაჭრილი კვნესოდა სიმწრით
და გათანგული იწვოდა სიცხით,
იქნებ, სიცოცხლემ აჯობა სიკვდილს
სწორედ ქეთევან თელიას სისხლით.
იქნება იმათ გულშიც ბორგავდა,
იქნება იმათ ძარღვშიც იძვროდა.
ვინც შეაჩერა მტერი ვოლგასთან,
ვინც მარუხთან და ქერჩთან იბრძოდა.
ვინ იცის, იქნებ წვლილია მისიც
(და დავიწყება არ უწერია).
ჯარისკაცების იმ დაღვრილ სისხლში
იქნება მისი სისხლიც ერია.
რომ დაუბრუნდა დედას შინ შვილი,
შვილს კიდევ — მამა, ცოლს კიდევ —
ქმარი.
იქნებ მათ ძარღვში ფეთქავს ის თბილი —
ის თბილი სისხლი ქართველი ქალის.
ვინ იცის, ქვეყნად რამდენი იხსნა,
სისხლმა, ქეთევან თელიას სისხლმა...
ასე წვეთ-წვეთად და მისხალ-მისხალ
სიცოცხლე ხალხს და სამშობლოს მისცა.
თუ იზეიმა მაისმა ჩვენში,
თუ მუმლი მუხას ვერ მოერია,
იმ გამარჯვებულ დროშების ფერში
ქართველი ქალის სისხლიც ერია.



## „ნინო! ჩვენს სიყვარულს გაუფრთხილდი“...

(ჯარისკაცის წერილიდან).

თუმცა კვდებოდა, სული ხდებოდა,
მაინც სიყვარულს სალამს უთვლიდა.
გოგო, სიყვარულს უფრთხილდებოდა,
ბიჭი, სიცოცხლეს ვერ გაუფრთხილდა.



## ნ. ხოშელია დაიღუპა 1945 წლის 9 მაისს

როცა სიკვდილის კარს არ აღებდნენ
დადუმებული თოფის ლულები,
მაშინ როდესაც ერთად ამღერდნენ
ცოცხლებიცა და დაღუპულებიც.
როცა ტყვიები, ცხელი ტყვიები,
ცაში გაცივდნენ, გულში კი არა,
ენძელებით და ლურჯი იებით
როცა იხვევდა მიწა იარას.
როცა დაჰკიდეს ლამაზ დარბაზებს
ისევ ღიმილი და გირლანდები,
როცა ვარდობის თვეში ზარბაზნებს
ამოუქოლეს პირი ვარდებით.
როცა ისურვა ისევ მაისმა
და საქორწილო კაბა ჩაიცვა,
როცა სოფელში ქალიშვილების
სიცილ-კისკისი ისევ გაისმა.
რა მძიმე იყო ამ დროს სიკვდილი
და სიცოცხლესთან გამოთხოვება,
ამ სიხარულის, ამ ზღვა სიცილის,
ამ მოზეიმე მზის დატოვება.
მაშინ როდესაც კაცის სიცოცხლეს
გვერდი უქციეს თვითონ ტყვიებმაც,
ამ დროს სიკვდილი, შენი სიკვდილი,
სიკვდილსაც აღარ ეპატიება.

## შთაბეჭდილებათა წიგნის ზოგიერთი ჩანაწერის პოეტური ასოციაცია

არ გვაქვს უფლება,
არ გვაქვს ისევე
არც დუმილის და არც დავიწყების...
მთები არიან ობელისკები
ომით მოკლულ და დამწვარ მიწების.
• • •
კაცობრიობამ გაიგო რაც
ყველა თავისი ცოდვა და ბრალი.
მგავს ხიროსიმა და ნაგასაკი
ოიდიპოსის ამოთხრილ თვალებს.
• • •
ჩვენი პლანეტა კორიდად იქცა,
ნელ-ნელა კარგავს ჰაერს და სირცხვილს.
ადამიანი აგიჟებს მიწას
წითელი ფერით
დაღვრილი სისხლით.
• • •
ყველა რაკეტა მიწის მუმლია,
და ყველა ბომბი
— ამ მიწის თრომბი.
დედამიწა კი მუზეუმია
ხალხთა მშვიდობის და მეგობრობის.
ჩვენც მეგობრობის გარდა სხვა სახელს
ნულარ ვახსენებთ აწ ერთმანეთთან.
და ჰარმონიის ლამაზ სასახლედ
გადავაქციოთ ჩვენი პლანეტა.



თ. ხუციშვილის ნახატები.

---




# დაე, მშვიდობა სუფევდეს დედამიწაზე!

**დიადი** გამარჯვების 40 წლისთავს რომ აღვნიშნავთ, არ შეიძლება არ ჩავუფიქრდეთ მის გაკვეთილებს, ვინაიდან ჩვენ მიერ წარსულის შეფასება გავლენას ახდენს ჩვენს დღევანდელ ქცევაზე და ეს გარკვეულწილად განსაზღვრავს ჩვენს მომავალსაც. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის განადგურებამ ღრმა მარევოლუციონირებელი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი კარდინალური მიმართულება. გამარჯვება მძლავრი რევოლუციური აღმავლობის საწყისი პუნქტი გახდა, რომელსაც მოჰყვა კაპიტალიზმის კრახი ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. მან ღრმა ცვლილებები გამოიწვია მსოფლიო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, იდეოლოგიაში, მილიონობით ადამიანთა შეგნებაში.

გაფართოვდა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომლის შედეგადაც დაიმსხვრა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. კოლონიური და ნახევრადკოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ასზე მეტი სახელმწიფო სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო გაერთიანების ცხოვრებაში და ნიადაგ მზარდი წვლილი შეაქვს მასში.

დიდ სამამულო ომში წყდებოდა არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ არსებითად მთელი კაცობრიობის მსოფლიო ცივილიზაციის ბედი. საბჭოთა კავშირი ობიექტურ მიზეზთა გამო ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების მოზიდულობის ცენტრის როლს ასრულებდა. მთელი მსოფლიო აღტაცებული იყო წითელი არმიის ძლევამოსილი გამარჯვებებით, მათში პოულობდა სულიერ ძალასა და იმის რწმენას, რომ ფაშიზმის განადგურება გარდაუვალი იყო. თავის მხრივ საბჭოთა ადამიანებს კარგად ახსოვთ და პატივს მიაგებენ ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ალბანეთის, უნგრეთის სამხედრო შენაერთების, პარტიზანული არმიებისა და რაზმების მებრძოლთა, ევროპის სხვა ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობის და ანტიფაშისტური იატაკქვეშეთის მონაწილეთა თავდადებულ ბრძოლას.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა, რომელშიც სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოები შევიდნენ. ამ კოალიციის საფუძველს წარმოადგენდა ხალხთა ერთობლივი ბრძოლა საერთო საფრთხის წინააღმდეგ, მათ რომ შეექმნათ. და სწორედ ამ საძირკვლის სიმტკიცემ განაპირობა ანტიჰიტლერული კოალიციის ცხოველუნარიანობა, რომელმაც მრავალრიცხოვან განსაცდელს გაუძლო, მთელი ომის მანძილზე სხვადასხვა ჯურის ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტურმა წრეებმა რომ დაატეხეს თავს.

და მაინც, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ შეუძლებელი გახდა ომის დროულად თავიდან აცილება. აქედან გამომდინარეობს დიადი გამარჯვების უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი, რომ ომის წინააღმდეგ მანამდე უნდა ვიბრძოლოთ, სანამ იგი არ დაწყებულა.

ომის თავიდან აცილების ამოცანა ამჟამად უფრო აქტუალურია, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ იყო, ვინაიდან ახლა არა მარტო ცალკეული ქვეყნები და ხალხები, არამედ მთელი მსოფლიო აღმოჩნდა თერმობირთვულ კატასტროფაში მოსპობის რეალური საფრთხის წინაშე. ამიტომ თანამედროვეობის მწვავე პრობლემათა რეალისტური გადაწყვეტების ძიებაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა სახელმწიფო — დიდი თუ პატარა. მაგრამ აქ განსაკუთრებული როლი ეკისრებათ, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს, რომელთა შორის ურთიერთობაში ბოლოდროინდელი ზოგიერთი ძვრების მიუხედავად, შეიმჩნევა რაღაც გამყინვარების პერიოდის მაგვარი რამ. არადა, სწორედ ამ ქვეყნების არსენალებშია თავმოყრილი ის ფანტასტიკური დამანგრეველი ძალები, რომლებსაც მრავალჯერ შეუძლიათ მოსპონ სიცოცხლე დედამიწაზე.

ამავე დროს დამანგრეველ პოტენციალთან ერთად ომის შემდგომ განვლილ 40 წელიწადში დაგროვილია უზარმაზარი სამშვიდობო პოტენციალი, მრავალმხრივი, საკმარისი ისტორიული და სოციალური თვალსაწიერი იმისათვის, რომ ამთავითვე შევუდგეთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის ხიდის მშენებლობას.

სწორედ ამას სთავაზობს საბჭოთა ხელმძღვანელობა. საკმარისია ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე: „თუ გავიაზრებთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ისტორიით, შორეული და ცოტა ხნის წინანდელი ისტორიით შეძენილ როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ გამოცდილებას, უნდა ითქვას, რომ ყველაზე გონივრულია გამოვნახოთ ურთიერთობის გამოსწორების გზები, გავდოთ თანამშრომლობის ხიდი, ოღონდ ვაშენოთ იგი ორივე მხრიდან“.

ამჟამადაც ვაშინგტონიდან დროდადრო გაისმის ბუნდოვანი განცხადებები „უმაღლეს დონეზე შეხვედრისათვის „მზადყოფნისა“ და „მშვიდობისადმი მისწრაფების“ თაობაზე. მაგრამ სრულიად აშკარაა ისიც, რომ მოსკოვისა და ვაშინგტონის მიდგომა ხიდის მშენებლობის პრობლემისადმი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა არ შემოიფარგლება მარტოოდენ ზეპირი მოწოდებებით, არამედ განამტკიცებს მათ კონკრეტული საქმეებით. იძლევა რა კეთილი ნების მაგალითს და ცდილობს ხელი შეუწყოს კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების თაობაზე ჟენევის მოლაპარაკების წარმატებას, სსრ კავშირმა ცალმხრივი წესით შეაჩერა ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების განლაგება და სხვა საპასუხო ღონისძიებების განხორციელება. ეს მორატორიუმი ღირსეულად შეაფასა მრავალმა საღად მოაზროვნე ამერიკელმა და დასავლეთევროპელმა პოლიტიკოსმა. სამწუხაროდ, მან ვაშინგტონში დადებითი საპასუხო რეაგირება ვერ ჰპოვა.

როგორც ვხედავთ, პასუხის გაცემა კითხვაზე — აიგება თუ არა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხიდი, ადვილიც არის და რთულიც. ადვილია იმიტომ, რომ ლოგიკაც, საღი აზრიც და ომის გაკვეთილებიც დაჟინებით მოითხოვს ორივე მხარისაგან დაადგნენ თავიანთი ურთიერთობის მოწესრიგებისა და თანამშრომლობის განვითარების გზას, რთულია იმიტომ, რომ შეერთებულ შტატებში დღემდე არიან გავლენიანი ძალები, რომლებიც სოციალური რევანშის გეგმებს ადგენენ, ყოველნაირად ცდილობენ სამხედრო საშუალებებით გადაწყვიტონ ისტორიული დავა ორ საზოგადოებრივ სისტემას შორის.

და მაინც ამ დღეებში, როცა მსოფლიოს ხალხები აღნიშნავენ ბოროტებისა და ბნელეთის ძალებზე დიადი გამარჯვების 40 წლისთავს, ოპტიმისტებად უნდა ვიყოთ. უნდა გვწამდეს, რომ გამარჯვების საკურთხეველზე მიტანილი უდიდესი მსხვერპლი ამაო არ ყოფილა. და სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ ახლახან ერთხელ კიდევ მოგვაგონა ეს ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა. არ შეიძლება ყველა კეთილი ნების ადამიანმა არ გაიზიაროს მისი მოწოდება — განავითარონ თანამშრომლობა მშვიდობის საკეთილდღეოდ. „ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 40 წლისთავის წინ, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა ვარშავაში გამართულ დარბაზობაზე, — ჩვენ კვლავ ვიხსენებთ ფიცს, გამარჯვებულებმა რომ დადეს მეორე მსოფლიო ომის საფლავებსა და ნანგრევებზე: ომი არ უნდა განმეორდეს! ჩვენ გვახსოვს ეს, გვახსოვს, რას გვასწავლის ომის გაკვეთილი. და მათგან ერთი მთავარი გაკვეთილთაგანია ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა თანამშრომლობის მაგალითი. დღეს ევროპისა და სხვა კონტინენტების ყველა სახელმწიფოს მოვუწოდებთ ღირსეულად დაიჭირონ თავი უთანხმოებათა მიუხედავად, გახდნენ პარტნიორები ამ კაცობრიობის არსებობისათვის კარს მომდგარი საფრთხის — ბირთვული განადგურების საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

(საკდესი).

---



# მარად საბჭოთა კავშირთან ერთად!

**ხვალ, 9 მაისს სრულდება საბჭოთა არმიის მიერ ფაშიზმისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 40 წლისთავი**

**ჩვენ** მუდამ გვეხსომება მორალური და სამხედრო მხარდაჭერა, რომელიც აღმოუჩინა საბჭოთა კავშირმა სლოვაკიის ეროვნულ აჯანყებას, ჩეხი ხალხის მაისის აჯანყებას, მთელს ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მეორე მსოფლიო ომის წლებში. სწორედ საბჭოთა ჯარისკაცებმა მოსკოვიდან, სტალინგრადიდან, კურსკიდან უკრაინისა და დუკლინის უღელტეხილის გავლით მოგვიტანეს დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება. საძულველი მტრის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში იშვა დევიზიც: „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად!“.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც საგრძნობლად დააჩქარა ომით მოშლილი ეკონომიკის აღდგენა, სსრ კავშირის უანგარო დახმარება გახლდათ. რეაქციის ძალებზე ჩვენი ხალხის თებერვლის გამარჯვების შემდეგ 1948 წელს რესპუბლიკის წინაშე მოძმე საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის ფართო გზა გადაიშალა.

ჩვენ, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მოქალაქენი, ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა ადამიანებთან მხარდამხარ ვდგავართ მშვიდობისათვის, პროგრესისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა ერთიან მწყობრში. ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღება ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის საკეთილდღეოდ. ეს პოლიტიკა მთლიანად შეესაბამება ჩვენი ხალხის საარსებო ინტერესებს. საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ჩვენ მომავალშიც შევიტანთ წვლილს ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების, მთელი ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამას გვავალებს არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილებიც. ამას გვავალებს იმათი უკვდავი ხსოვნა, ვინც თავი დასდო ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ვასილ ბილიაკი,**
ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



● ●

**ბავშვის** აღზრდაში, მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს წიგნი. ამიტომ არის, რომ სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბავშვო ლიტერატურის გამოცემას. სპეციალიზებულმა გამომცემლობამ „ალბატროსმა“ 35 წლის მანძილზე 7,5 ათასი დასახელების წიგნი გამოუშვა 213 მილიონი საერთო ტირაჟით.

**სურათზე:** პრაღის ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონს საბავშვო წიგნის მოძრავი მაღაზია ეწვია.





# გამარჯვების, მშვიდობის სიხარული



„შემთხვევით დავიჭირე თბილისის ტალღა. რა ბედნიერი ვარ, თქვენმა ხმამ და მშობლიურმა სიტყვამ ისეთი იმედი ჩამინერგა, რომ უთუოდ დავძლევთ ამ ჯოჯოხეთს. მჯერა, გამარჯვებული დავბრუნდებით!..“

სიმართლეა ფრონტელი კაცის ამ სამკუთხა ბარათში თქმული. ტიპური წერილია, ომში წასული ქართველი ვაჟკაცების მხედრული სულისკვეთების გამომხატველი, მშობლიური სიტყვის ზეგავლენით თქმული.

რადიო დიდი სამამულო ომის დროს პარტიისა და ხალხის სახელით საბრძოლველად უხმობდა საბჭოთა საქართველოს მამაც შვილებს, ამცნობდა მათ მშობლიურ მართალ სიტყვას, მათთან მიქონდა მღელვარე გული, ბრძოლის პათოსი, ლექსები და სიყვარული.

რადიო იყო ომში ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წყარო, პოლიტიკური, საბრძოლო და შრომითი გმირობის მაცნე, ფრონტისა და ზურგის გმირული ამბების ოპერატიული მაუწყებელი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ომის წლებში არაერთი ღონისძიება დასახა რესპუბლიკის რადიომაუწყებლობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით. მათ შორის აღსანიშნავია ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 16 ივნისის დადგენილება „ფრონტისათვის რადიოგადაცემების ორგანიზაციის შესახებ“.

ომის პირველი დღეებიდან საქართველოს რადიოს მთელი მოღვაწეობა დაუქვემდებარდა პარტიის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის ღონისძიებათა გადაწყვეტას და პარტიის სხვა იდეოლოგიურ უწყებებთან მჭიდრო, შემოქმედებითი თანამოქმედებით პირნათლად ასრულებდა ოპერატიული და ქმედითი ინფორმაციის მიწოდების საპატიო ფუნქციას.

„მიღებულია რადიოთი“, — ასეთი რუბრიკა ჰქონდა ომის დღეების ბევრ მნიშვნელოვან, საჭირო, ოპერატიულ ინფორმაციას, ფრონტული თუ რესპუბლიკური გაზეთების პუბლიკაციებს, რაც ეგზომ მნიშვნელოვანი იყო ომის ვითარებაში მშრომელთა და მეომრების დროული ინფორმირებისათვის.

ორიგინალური გადაცემების მოცულობა რვა საათს შეადგენდა. აქედან ექვსჯერ გადაიცემოდა „უკანასკნელი ცნობები“.

სრული დატვირთვით მუშაობდნენ რადიორედაქციები. შემოღებულ იქნა გადაცემების ახალი ციკლები — „საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირული წარსული“, „ჩვენი სახელოვანი წინაპრები“. მათ ავტორებად გამოდიოდნენ რესპუბლიკის თვალსაჩინო სპეციალისტები, მეცნიერი ისტორიკოსები, პროპაგანდისტები.

რადიო ოპერატიულად გადასცემდა ქართულ ენაზე თარგმნილი გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ მოწინავე წერილებს, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს დილისა და საღამოს ცნობებს, უმაღლესი მთავარსარდლობის დიდმნიშვნელოვან ბრძანებებს.

საქართველოს რადიოში ხშირად ისმოდა შალვა დადიანის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, ალექსანდრე აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის, გერონტი ქიქოძის და სხვათა პატრიოტული, მომწოდებელი და დამრაზმველი გამოსვლები, სხვა ქართველ მწერალთა პატრიოტული ნაწარმოებები, მოთხრობები, ნარკვევი და პუბლიცისტური ნაწარმოები, წერილები — რადიოდადგმებში, რადიოინსცენირებებსა თუ რადიოკომპოზიციებში გამოყენებული.

ძალზე შთამბეჭდავი და ამაღელვებელი იყო ფრონტზე, ქართულ შენაერთებში, თანამემამულეებთან ნამყოფი ქართველი მწერლების: ირაკლი აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მაშაშვილის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ილო მოსაშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, კარლო კალაძის, სოლომონ

## ყურადღება, ლაპარაკობს თბილისი!

თავაძის და სხვათა შთაბეჭდილებებით აღსავსე გამოსვლები საქართველოს რადიოთი, მათ მიერ უშუალო ბრძოლებში ნანახისა და განცდილის გახსენება, ბრძოლის ველზე მიღებულ მდიდარ შთაბეჭდილებათა პუბლიცისტური გააზრებით გადმოცემა, იქ, საბრძოლო ვითარებაში შთაგონებით დაწერილი ფრონტული ლექსების, ნარკვევებისა თუ მოთხრობების მიკროფონთან კითხვა. ყოველივე ეს იყო ქართველი საბჭოთა მწერლების მებრძოლი, შთამაგონებელი სიტყვა და პატრიოტულ-მოქალაქეობრივი საქმე, სამშობლოსადმი ერთგული სამსახურით ნაკარნახევი.

აი, ერთი კონკრეტული, დამახასიათებელი, შთამბეჭდავი მაგალითი სამხრეთის ფრონტიდან. 1942 წლის გაზაფხულზე, ახლად დაბრუნებული, აპრილში საქართველოს რადიოთი თავის გამოსვლაში პოეტი ალიო მაშაშვილი თანამემამულეებს მიმართავდა:

„ძმებო და დებო! ოდითგანვე ჩვენ გვზრდიდა სამშობლოს მიწა-წყალი, ტკბილი და სანუკვარია იგი ჩვენთვის, მშობლიური და საყვარელია ის ადგილ-მამული, სადაც აკვანს გვირწევდა დედასამშობლო, მტერს უფლებას ნუ მივცემთ ფეხქვეშ გათელოს საქართველოს გულმკერდი, ჩვენი მიწა, ჩვენი სხეული! მტერი უნდა შევაჩეროთ, მტერი უნდა უკუვაგდოთ! ჩვენ ეს შეგვიძლია. ქართველი დღესაც, როგორც წარსულში, მზად არის უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლოს!

ძმებო და დებო! ქართლის დედებო! მოვიგონოთ გმირ წინაპართა ნათელი სახეები. მტერს ნუ მივცემთ უფლებას თავისი ბინძური ფეხი დააბიჯოს რუსთაველის წმიდათაწმიდა აკვანს!“

თავისი გამოსვლა ლექსით დაამთავრა პოეტმა:

**„სამშობლო განსაცდელშია —**
**მზად ხართ? — მთელი ხმით**
**ვუყვირი მე,**
**მთებიდან, დაღმართებიდან —**
**მზად ვართ! — მესმის გმირი**
**მე.**

**დასცხეთ, დაჰკარით, ბიჭებო!**
**არ ვნახო მათი ძირი მე,**
**სად მეგულება სამშობლო,**
**მტრისათვის გასაწირი მე!“**

დიდი სამამულო ომის დროს საქართველოს რადიოს პუბლიცისტურ-მხატვრული გადაცემების მთავარი მიმართულება სამხედრო-პატრიოტული, საგმირო-რომანტიკული თემატიკა იყო.

— დიდი სამამულო ომის დროს, — იხსენებდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ ჭავჭავაძე, — ფრონტზე ყოფნისას მე მხვდებოდნენ მებრძოლები, ისინი აღფრთოვანებით მიამბობდნენ რადიოგადაცემების როლზე დამპყრობთა ურდოების შემუსვრისათვის ბრძოლაში. მე სიხარულის ცრემლი მომერია. ამაღელვებელი იყო ეს მომენტები. ამიტომ რადიოთი გამოსვლა ჩემ საყვარელ საქმედ მიმაჩნია.

სწორედ ომის მრისხანე დღეებში შეიქმნა მნიშვნელოვანი პატრიოტულ-ჰეროიკული ქართული მუსიკალური ნაწარმოებები, მათ შორის იონა ტუსკიას სიმღერა „კაპიტანი ბუხაიძე“ ირაკლი აბაშიძის ამავე სახელწოდების შესანიშნავ ლექსზე, ალექსი მაჭავარიანის — „ქართული ლაშქრული“ ხალხურ ტექსტზე, მისივე „არ დაიდარდო, დედაო“ გიორგი ლეონიძის ლექსის ტექსტზე, შალვა მშველიძის — „სამხედრო სიმფონია“ კავკასიის დაცვის თემაზე, მისივე „გამარჯვების სიხარული“ და სხვ.

რადიოს მუშაკები, დიქტორები, რედაქტორები სამამულო ომის ფრონტებზე სიტყვითა და იარაღით იბრძოდნენ მტერს. სევასტოპოლის მამაც დამცველთა შორის თავდადებით იბრძოდა რადიოს წამყვანი დიქტორ-კომენტატორი ალექსანდრე ცერცვაძე და რადიოში არ დაბრუნებულა. ასევე ფრონტზე იბრძოდა რედაქტორი ნიკოლოზ კიკვაძე და სხვანი.

ამრიგად, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის სხვა საშუალებებთან ერთად, დიდი სამამულო ომის პერიოდში მრავალმხრივი, ნაყოფიერი იყო საქართველოს რადიოს მუშაობა. იგი საქმით იყო ოპერატიული ინფორმაციის ძირითადი, წამყვანი ორგანო, რომლის კეთილი ხმა რესპუბლიკაში ყოველგან აღწევდა. რადიოთი, მართლაც, სიტყვაც იბრძოდა, ადამიანის გულსა და გონებას იპყრობდა, მიზანს ზუსტად ხვდებოდა.

**პეტრე შამათავა.**

## ლექსებში გაცოცხლებული...

რაც დრო გადის, მეტ სიკაშკაშეს იძენს იმათი სახელი, რომელთაც ვერავინ მტერი არ გაახარეს და სამშობლოს ნათელი გაზაფხული გაუთენეს. რამდენი ვერ მოესწრო გამარჯვების მეორმოცე გაზაფხულს, რამდენს სამუდამოდ დაუღამდა ბრძოლის ველზე, რამდენი დედა შეიმოსა ძაძებით... ბედნიერები მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ... მათ გმირობას არ ივიწყებს ხალხი, ბევრს კალამი აღებინა ხელში იმ დღეთა გახსენებამ და ლექსად სურს გამოთქვას გმირების ქებათა ქება.

სარედაქციო ფოსტას საქართველოს ყოველი კუთხიდან მოაქვს ეს ლექსები. წმინდა პოეტური თვალსაზრისით მათში შეიძლება ყველაფერი რიგზე ვერ იყოს, მაგრამ მთავარია, რომ ისინი ალალად არის ამოთქმული.

გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს მცხოვრები ს. ტაკაშვილი შინმოუსვლელებს, ღიმილის ბიჭებს უძღვნის თავის ლექსს:

**ო, რამდენ კერას ჩაუნაცრა**
**ომმა ლადარი,**
**რამდენ მზეჭაბუკს, რომ არ**
**ჰყავდა ქვეყნად ბადალი,**
**ჩაუქრო შუქი, გადუკეტა**
**ვრცელი გზაშარა,**
**მათი ოცნება, მათი რწმენა**
**ცეცხლით წაშალა.**

ეს ბიჭები ობელისკებად აღმართულან ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში.

**ტყის განაპირას დგას ობელისკი,**
**ცად ატყორცნილი, სიმბოლო**
**ბრძოლის,**
**აქ იხვენებენ სამშობლოს**
**შვილნი,**
**გარუჯულები ყუმბარის ბოლით.**

წერს თავის ლექსში მცხეთელი რ. მჭედლიშვილი. დედები კი დღესაც ელოდებიან შინმოუსვლელებს, დედის ლოდინს დასასრული არა აქვს. სწორედ მათ უძღვნის ლექსს დ. კუჭავა:

**ო, მას შემდეგ ძაძით მოსილს**
**ამ შარაზე გხედავ,**
**მანდილივით მოგიხურავს**
**საუკუნო სევდა...**

ამ თემაზეა გ. კუპრეიშვილის ლექსიც:

**ორმოცი წელი გავიდა,**
**გელოდებიან და-ძმები,**
**ბევრი დაქვრივდა, დამწუხრდა,**
**დედამ ჩაიცვა ძაძები.**

მართალია, ომმა ბევრი შეიწირა, მაგრამ მათ სწამდათ, რომ სამშობლოს ნათელი მომავლისათვის იბრძოდნენ, ესმოდათ, ვისი გორისანი იყვნენ. ომის ვეტერანი, თადარიგის პოდპოლკოვნიკი რ. ხომერიკი წერს:

**მაგრამ გული სიკვდილის წინ,**
**კვლავ რეკავდა რწმენით!**
**—საქართველოვ, ჩვენ დავეცით,**
**ვით არწივებს შვენის!...**

ონელ პოეტს დ. ხახიაშვილს ბალადა გამოუგზავნია, რომელიც რაიხსტაგის იერიშის დროს დაღუპულ ქართველ ჯარისკაცს ეძღვნება:

**ადექ, მტერი გაცამტვერდა,**
**მზემ გარეკა ღრუბლები,**
**გამარჯვებას ზეიმობენ,**
**არწივების გუნდები.**
**გამარჯვებულ, ნაბრძოლ ვაჟკაცს**
**სამშობლოში გელიან,**
**ნუთუ მართლა, ნუთუ მართლა**
**ღონე გამოგელია...**

სამშობლოს რომ იცავდნენ, წითელი დროშის ფერსაც იცავდნენ მეომრები, ჩვენი დროშა მიუძღოდათ მათ მოსკოვის მისადგომებიდან რაიხსტაგის კედლებამდე.

**დიდება დროშას, ვაშა იმ**
**გმირსაც,**
**ძირს დაუხრელად ვინც ის**
**ატარა,**
**სიკვდილ-სიცოცხლის ძალთა**
**ჭიდილში,**
**გზა ელიანი გამოატარა, —**

წერს დიდი სამამულო ომის ვეტერანი ნ. ჩუთლაშვილი.

ორმოცი წელია მშვიდობიანი ცის ქვეშ ვცხოვრობთ, ვიღვწით, ვაშენებთ ნათელ მომავალს. თითქოს ყველას სათქმელს ამბობს ა. ჩხარტიშვილი თავის ლექსში:

**არ მოჰკლებოდეს ქვეყანას**
**ცის ღიმილი და ალერსი,**
**მშვიდობიანი სიცოცხლე,**
**მზის სხივი უმხურვალესი.**

გულწრფელად უმღერიან თავიანთ ლექსებში სამშობლოს დამცველებს, ომის ვეტერანებს, შინმოუსვლელებს ა. ბერუაშვილი, ს. გუნცაძე, ზ. თვაური, ე. გაბუნია, შ. ბრეგვაძე, ვ. თაგოევი, ქ. ლომიძე, ტ. კოლუაშვილი, რ. კაბიძე, ალ. ტაბატაძე, ა. გოგოლაური, შ. არბოლიშვილი, ე. მამაცაშვილი, ლ. ქაქუთია, ლ. ბოლქვაძე, შ. შენგელი, ბ. მელია, მ. ბერძენიშვილი, გ. ხეთაგური, ნ. გურაშვილი, ვ. ჯანელიძე, ვ. ხუცურაული, ვ. ვანელი, ნ. მუსელიანი, ტ. არჩუაშვილი, თ. ელიაური, შ. გვეხიძე, ა. წიკლაური, ს. გიგინეიშვილი, ც. მალაზონია, ტ. ხვედელიძე-მეგრელიშვილი, შ. მირცხულავა, ე. ღადოაშვილი...

ხალხი არ ივიწყებს იმ საშინელ დღეებს, განსაცდელს, სამშობლოს რომ ადგა და გმირებს, ამ განსაცდელისგან რომ დაიხსნა საყვარელი მიწა-წყალი. გაივლის წლები, და თაობიდან თაობას გადაეცემა ყოველივე და კვლავაც გააცოცხლებს იმ დღეებს ხალხი მშრომელი, ხალხი მშვიდობისმოყვარე.

**ვ. მაღლაკელიძე.**

# თეატრალური პრემიერები

## ამაღელვებელი ომისსაწინააღმდეგო სპექტაკლი

ომი უდიდესი ბოროტებაა კაცობრიობისათვის. იგი არა მარტო ფიზიკურად სპობს, არამედ მორალურადაც ასახიჩრებს ადამიანს. აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ, რათა არ დავუშვათ ახალი სისხლისღვრა. სწორედ ამის თქმა უნდოდა თავისი სპექტაკლით „ტოოტების ოჯახი“ თბილისის დრამატული თეატრის ახალგაზრდა კოლექტივს, რომელმაც ცნობილი თანამედროვე უნგრელი დრამატურგის იშტვან ერკენის პიესას მიმართა. სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ლასლო ბაბარციმ (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა), მის მიერ 15 წლის წინათ შექმნილი კაპოშვარის ახალგაზრდული თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა.

თეატრმა სპექტაკლი ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავს უძღვნა. პირველი მაყურებლები იყვნენ გლდანისა და ლენინის, დედაქალაქის სხვა რაიონების ომისა და შრომის ვეტერანები.

პრემიერაზე ჩამოვიდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში შანდორ რაინაი და უნგრეთის მოსკოვის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

თუმცა გმირები პოპულარული პიესისა, რომელიც ფაშიზმის არაადამიანურობას ამათრახებს, ქართულად ლაპარაკობდნენ, — უთხრა შანდორ რაინაიმ საქინფორმის კორესპონდენტს, — მაგრამ ყოველი სიტყვა მესმოდა, ვინაიდან ი. ერკენის პიესა აყენებს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს, რომლებიც ერთნაირად აღელვებენ საბჭოთა და უნგრელ ხალხებს, მჭიდროდ რომ შეკავშირდნენ ერთი საერთო დროშის — მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ. საქართველოში პირველად როდი ვარ. მაგრამ ახლანდელი ჩამოსვლა განსაკუთრებულია. ჩვენ ამაღელვებელი ომისსაწინააღმდეგო სპექტაკლის დაბადების, ქართველი და უნგრელი თეატრალური მოღვაწეების დიდი შემოქმედებითი მეგობრობის მოწმენი გავხდით.

უნგრეთში კარგად იცნობენ საქართველოს, მისი ხალხის ცხოვრებას ნოდარ დუმბაძის, ოტია იოსელიანის, ალექსანდრე ჩხაიძის პიესებით, შესანიშნავი ქართული კინოფილმებისა და მდიდარი ლიტერატურის მეშვეობით. საქართველოში კი, რამდენადაც ვიცით, კარგი სახელი აქვს უნგრულ ხელოვნებას. ამის დასტურია რუსთაველის თეატრის პირველი პრემია სსრ კავშირში უნგრული დრამატურგიის ფესტივალზე პიესის „ბანკ-ბანის“ დადგმისათვის.

ახალ სპექტაკლში ქართველმა მსახიობებმა წარმოადგინეს ერთი უნგრული ოჯახის თავგადასავალი. ეს თავგადასავალი უალრესად საგულისხმოა. იგი ჩაგაფიქრებს, გამოგატანინებს დასკვნას: უნდა იბრძოლო, რათა არ იყოს ომი, ადამიანების დასახიჩრებული ბედიღბალი და ცხოვრება.

დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ა. ტაკიძეს, მსახიობებს გ. ჯაფარიძეს, ნ. ბადალაშვილს, გ. მახათაძეს, მ. კუპატაძეს, ნ. ყურაშვილს, ვ. წიწილოშვილს, მთელ დამდგმელ კოლექტივს. (საქინფორმი).





## ეპიზოდები პარტიზანის ცხოვრებიდან

## სისხლიან ბილიკებზე

დაზვერვიდან შტაბში დავბრუნდი ჩემ ძაღლთან ჯულბარსთან ერთად. საქმე მოითხოვდა და სოფელ ტიმაშევიჩში ოთხი მზვერავი გავუშვი. მათ მთხოვეს, ძაღლსაც თან წავიყვანთო. სოფელი ტიმაშევიჩი ჩვენგან რვა კილომეტრით იყო დაშორებული.

გამთენიისას განუწყვეტელი სროლის ხმა მოგვესმა, მივხვდი, რომ კარგი ამბავი არ იყო. საათ-ნახევრის შემდეგ მსუბუქად დაჭრილი ანდრუშა მოვარდა ჩვენთან და გვიამბო, თუ რა უბედურებას წააწყდნენ. ნაშუადღევს 120 პარტიზანი სოფელ ტიმაშევიჩისაკენ გავეშურეთ. ადგილზე რომ მივედით, შევიტყვეთ, სოფელში ფაშისტების მცირე ჯგუფი მოსულიყო, მოსახლეობა გაეფრთხილებინათ, ხმა-კრინტი არ დაძრათო. თვითონ ჩასაფრდნენ და მზვერავების გამოჩენას დაელოდნენ. თურმე ჩვენი მზვერავები, რაკი საეჭვო ვერაფერი შეენიშნათ, საუზმეს შედგომოდნენ. ამასობაში მათთვის ფაშისტებს ალყა შემოერტყათ და სამი მზვერავი კ. ფლოროვი, ნ. ნაუმოვი, კ. ტიხამიროვი და ძაღლი მოეკლათ. მათ საძმო საფლავი გავუთხარეთ და მიწას მივაბარეთ. ჩვენ ქალაქ სინკევიჩისაკენ განვაგრძეთ გზა.

ქალაქ სინკევიჩთან ტყეში დავბანაკდით. მთელი თვის განმავლობაში ვაწარმოებდით დაზვერვებს, ვამოწმებდით სად, რომელ ადგილზე იყვნენ ფაშისტები განლაგებული და რამდენი იყვნენ. ვადგენდით მათი განადგურების გეგმებს.

რკინიგზის სადგურს ფაშისტთა გაძლიერებული რაზმი იცავდა. გადავწყვიტეთ თავს თავსხმოდით და გაგვენადგურებინა.. ათ-ათი პარტიზანი ქალაქის შემოსასვლელსა და გასასვლელში დავაყენეთ, რომ, ვინიცობაა გერმანელთა მაშველი ძალა მოსულიყო, დროებით შეეჩერებინათ. მე თხუთმეტი პარტიზანით უნდა ამეფეთქებინა ორასმეტრიანი ხიდი და მოესპო მისი დაცვა. ხიდს თორმეტი ფაშისტი ჯარისკაცი იცავდა, რომლებსაც გაწვრთნილი ძაღლებიც ჰყავდათ. ძაღლებმა შეგვამჩნიეს, ატეხეს ერთი გნიასი. ფაშისტებმა დაგვიშინეს ავტომატების ჯერი, ტყვიამფრქვევიც აკაკანეს. შემოგვიტიეს, შეიქმნა სისხლისღვრა, ხიდის კუთხეში ჰქონდათ სიმაგრე, იქიდან ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა და გვიშენდნენ ტყვიამფრქვევს.

გადავწყვიტე რკინიგზის მეორე მხარეს გადასვლა, რათა იქიდან ჩამეჩუმებინა ტყვიამფრქვევი. მეტყვიამფრქვევემ შემამჩნია და ჩემკენ მოუშვა ჯერი. რელსებს შუა მოვასწარი ჩაწოლა, ტყვიები ჩემ თავზე ზუზუნით გადადიოდა. ფაშისტს მკვდარი ვეგონე და ახლა ცეცხლი სხვაზე გადაიტანა. დრო ვიხელთე და მეორე გვერდიდან მოვექეცი და გავანადგურე გამაგრებული საცეცხლე წერტი.

ბიჭებსაც შესანიშნავად „ემუშავათ“, ხიდის დაბლა ორი ვაგონი იდგა, რომლებშიც გუშაგი ჯარისკაცები ცხოვრობდნენ. ვაგონების კარებში ფაშისტების გვამები ერთმანეთში იყო არეული.

...ქალაქი სინკევიჩი ცეცხლის ალში გახვია, მეგონა ფაშისტების მაშველი ჯარი მოვიდა, თურმე ეს ჩვენი ბიჭების ნახელავი ყოფილა, რომლის შესახებაც პარტიზანთა ბრიგადის უფროსმა მიხეილ გერასიმოვმა გვითხრა. იგი ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა.

რკინიგზის სადგურში ეშელონი იდგა, რომელსაც ფრონტის წინა ხაზზე გერმანელებისათვის ბომბები უნდა მიეტანა. იმასაც თვითონ ცეცხლი წავუკიდეთ, ორტონიანი ბომბებით დატვირთული ორმოცდაცამეტი ვაგონი თითქმის ოთხი საათის განმავლობაში ფეთქდებოდა და ხმა მიდამოს აყრუებდა.

თვე-ნახევრის განმავლობაში იმ მიმართულებით მატარებელს არ გაუვლია, ისე დაინგრა რკინიგზის სადგური და მთელი ქალაქი სინკევიჩი.

აი ასეთი ფათერაკებით იყო სავსე ჩვენი მაშინდელი პარტიზანული ცხოვრება ბელორუსიის მიწა-წყალზე.

**ნ. იაშვილი,**
ყოფილი პარტიზანი.

## ყაბახი

# სატურნირო ორბიტა

**კლასიკური ჭიდაობა.** ტოკიოში გამართულ სუპერთასის გათამაშებაში სხვებთან ერთად თავი ისახელა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ქუთაისელმა სპორტსმენმა თეიმურაზ აფხაზავამ. იგი 82 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იყო უძლიერესი. აღსანიშნავია ისიც, რომ მან ყველა მეტოქე დაამარცხა.

**ფეხბურთი.** გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: **დასავლეთის ზონა.** აბოვიანის „კოტაიკი“-რიგის „დაუგავა“ — 3:2, ლვოვის ასკ „კარპატი“-სტავროპოლის „დინამო“ — 1:0, კიშინიოვის „ნისტრუ“-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 2:1, ნიკოპოლის „კოლოსი“-ბათუმის „დინამო“ — 4:1, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“-ლანჩხუთის „გურია“ — 1:0; **აღმოსავლეთის ზონა.** იაროსლავლის „შინიკი“-დუშანბეს „პამირი“ — 1:0, კემეროვოს „კუზბასი“-ვოლგოგრადის „როტორი“ — 1:0, ხაბაროვსკის ასკ-კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 3:1, ცსკა-„ფახთაქორი“ — 2:0, სმოლენსკის „ისკრა“-ჯიზაკის „ზვეზდა“ — 0:0. შვიდი ტურის შემდეგ **დასავლეთის ზონაში** 8-8 ქულით ლიდერთა ოთხეულში არიან „დაუგავა“, ბათუმის „დინამო“, „კოლოსი“ და „ნისტრუ“. **აღმოსავლეთის ზონაში** 10-10 ქულა აქვთ „ფახთაქორსა“ და „შინიკს“. ხაბაროვსკელი არმიელები 9 ქულით მესამე ადგილზე არიან.

**მძლეოსნობა.** ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსში გამართულ ჯესი ოუენსის მემორიალზე ჯად ლოგანმა უროს ტყორცნაში დაამყარა აშშ-ს რეკორდი (77,24 მ), ხოლო ბრაიან უაიტჰედმა სიმაღლეზე ხტომაში 232 სმ დაძლია. ჰიუსტონში კი ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის 4 ოქროს მედლის მფლობელმა კარლ ლიუისმა სიგრძეზე ხტომაში სეზონის საუკეთესო შედეგით დაამთავრა შეჯიბრება — 853 სმ.

## ომის ერთი დღე

გამარჯვების 40 წლისთავის დღესასწაულს ეძღვნება გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კოლექტივის მიერ მომზადებული და გამომცემლობა „მერნის“ მიერ ახლახან გამოცემული ოთხნაწილიანი წიგნი „ომის ერთი დღე“ (ავტორი — მ. ხატისკაცი, რედაქტორი — ვ. ფაცურია), რომელშიც მოგონებებზე დაყრდნობით აღდგენილია გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლის ველზე საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისა და მეთაურების გმირული ბრძოლის, ზურგში საბჭოთა საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა თავდადებული გარჯის 1.418 უცნობი ეპიზოდი.

ომზე, ნათქვამია პირველი წიგნის წინასიტყვაობაში (ავტორი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნ. ჩერქეზიშვილი), ბევრი რამ დაწერილა. დაფიქსირებული და აღდგენილია მისი ზოგიერთი მოვლენის არა მარტო საათი, წუთიც კი, დაზუსტებული და გამოქვეყნებულია იმათი სახელები და გვარები, ვინც მონაწილეობდა ამ ამბებში. ეს წიგნები კი სწორედ გვერდს უვლის ასეთ თარიღებსა და მოვლენებს, ყოველი ჩვენგანისათვის კარგად ცნობილ სახელებსა და გვარებს. და ეს ალბათ, თხრობის ნაკლად კი არა, ღირსებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან გვეხმარება უფრო მკაფიოდ გამოვკვეთოთ ომის მთავარი ფიგურა — თვით ხალხი, ომის რიგითი მშრომელი, ომის სადაგი დღეების გმირობა, მძიმე, ყოველდღიური, ქანცგამცლელი, ჯოჯოხეთური მუშაობის გმირობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იქნებოდა გამარჯვება...

აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორებმა, გაზეთის კოლექტივმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ერთობ საპატიო, რთულ და პასუხსაგებ საქმეს. შარშანდელი წლის დასაწყისში „ზარია ვოსტოკამ“ თხოვნით მიმართა უფროსი თაობის მკითხველებს, მოეთხროთ დიდი სამამულო ომის ერთი დღის შესახებ, თუ როგორ დაახსომდათ იგი ფრონტზე მოქმედ არმიაში, პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში მებრძოლ ყოფილ ჯარისკაცებსა და მეთაურებს, აგრეთვე ზურგის მშრომელებს, რომლებმაც მოიგეს ლითონისა და პურისათვის, სათბობისა და ნედლეულისათვის, მძლავრი საბჭოთა იარაღის შექმნისათვის არნახული ბრძოლა. რედაქციამ ამ მოწოდების პასუხად მიიღო შვიდი ათასამდე წერილი — გამოხმაურება, რომელთაგან შეირჩა 1418 მოგონება, მათგან თითოეული ეძღვნება ომის ერთ კონკრეტულ დღეს. ასე შეიქმნა ეს წიგნები, რომლებიც თითქოსდა დიდი სამამულოს ერთადერთი დღის კრებსითი სახე, 1418 ფრაგმენტისაგან შედგენილი მისი მოზაიკური პორტრეტია...

„ჩვენ მეორმოცედ აღვნიშნავთ ამ ჭეშმარიტად დიდ სახალხო დღესასწაულს, — ამბობს ერთ-ერთ წიგნში ცნობილი თბილისელი მუშა, სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე ილურიძე, — დარწმუნებული ვარ, ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს ეხსომებათ და ეცოდინებათ ეს დღე. მაგრამ მარტო ეს არ კმარა — ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ახალ თაობებს, ჩვენს მომავალს არ დასჭირდეთ ბრძოლა და დაღუპვა ახალი გამარჯვების გულისათვის. დაე, ეს დღე — 1945 წლის 9 მაისი — სამუდამოდ დარჩეს უკანასკნელი ომის უკანასკნელ დღედ და მარადიული მშვიდობის პირველ დღედ...“.

ეს წიგნებიც, რომლებიც უდავოდ დაიჭერენ თავიანთ ადგილს ომის თემაზე შექმნილ ვრცელ ლიტერატურაში, მტკიცე და მუდმივი მშვიდობის დიდებული შენობის თავისებური აგურია. მკითხველიც უეჭველად ასე აღიქვამს მათ.

## მძიმე გზებით

სად არ ატარა ბედმა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში დაბადებული კაცი, პედაგოგი გალაქტიონ შარაშიძე. საბჭოთა განმათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცმა ბრძოლებით იარა ჩვენი ქვეყნისა და ევროპის მრავალი ქვეყნის გზებზე.

...გვარდიული დივიზია, რომლის შემადგენლობაშიც იგი იყო, ფეხდაფეხ მისდევდა მტერს, გაავთრებული ფაშისტები გოჯ მიწასაც არ თმობდნენ უბრძოლველად. დივიზიის მეომრებმა გადალახეს მდინარე პრუტი, რუმინეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ, შემდეგ ბულგარეთში ებრძოდნენ მტერს, ხოლო ბოლოს იუგოსლავიის მიწა-წყლის განთავისუფლებაში მონაწილეობდნენ.

1944 წლის 7 ოქტომბერს მდინარე დუნაის გადალახვისას მძიმედ დაჭრილი გალაქტიონ შარაშიძე ოთხი დღე-ღამის განმავლობაში უგონოდ ეგდო ნაპირზე. მეოთხე დღეს ბურანში მყოფს უცხო საუბარი ჩაესმა. „დავიღუპე“ გაიფიქრა, მაგრამ მოტყუვდა. უცხო ჯარისკაცები მოყვრები, იუგოსლავი პარტიზანები აღმოჩნდნენ.

საბჭოთა მეომარი შეიფარეს, ჭრილობები შეუხვიეს, დააპურეს და ბელგრადის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. გალაქტიონმა კარგა ხანს დაჰყო ბელგრადის, ბაიისა და ბუქარესტის ჰოსპიტლებში, შემდეგ ისევ მოქმედ არმიაში იბრძვის მტრის საბოლოო განადგურებამდე. ომი დასრულდა. გ. შარაშიძე ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული სამშობლოში დაბრუნდა.

ნაომარი ქვეყანა ჭრილობებს იშუშებდა. გალაქტიონიც ჩაება მშვიდობიანი ცხოვრების ფერხულში. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა. დამთავრების შემდეგ გონიოს საშუალო სკოლაში გაგზავნეს მასწავლებლად, შემდგომ ახალშენის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა. 30 წელზე მეტი იმუშავა პედაგოგად. 1969 წელს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიანიჭეს.

ამჟერად ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი კაცი დამსახურებულ პენსიაზეა, მაგრამ ომისა და შრომის ვეტერანი კვლავაც მწყობრშია, ხშირად ნახავთ მას ახალგაზრდებთან, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებზე მის საუბრებს მუდამ ინტერესით ისმენენ ჭაბუკები და ქალიშვილები. ხარობს ვალმოხდილი პატრიოტი და მოქალაქე მშვიდობიანი ცხოვრების სიკეთით, იმისი ღრმა რწმენით, რომ მუდამ მოწმენდილი იქნება სამშობლოს ზეცა.

**ნ. ნორაკიძე.**

## მოსკოვი

8 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „უცნობი ჯარისკაცი“. III სერია. 10.45 — დოკუმენტური ფილმი „ხვალ განთიადისას გამარჯვების დღეა“. 11.25 — ა. ბოროდინი. № 2 სიმფონია. 11.55 — საინფორმაციო გამოშვება. 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — კინოეტიუდი. 15.55 — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კონცერტი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — უძლიერეს ფიგურისტთა გამოსვლა. 24.00 — დღეს მსოფლიოში 0.15 — მშვიდობის ველორბოლა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 — ისტორია. ნორჩი გმირები დიდ სამამულო ომში. 10.05 — დედის სკოლა. 10.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.25 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში. 11.55 — საინფორმაციო გამოშვება. 12.50 — იცოდე და ისწავლე. 13.20 — პოეტური კომპოზიცია საბჭოთა პოეტების ლექსების მიხედვით. 14.15 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „გენერალ შუბნიკოვის კორპუსი. 15.50 — კინოეტიუდი. 15.55 — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კონცერტი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. 21.20 — „ძილი ნებისა, პატარებო“. 21.35 — ხალხური მუსიკა. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — მხატვრული ფილმი „სიცოცხლე შენს ხელშია“. 0.35 — ახალი ამბები.

## თბილისი

8 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.15 — კინოსიახლენი. 10.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კომისარი“. 10.55 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზიდან. 13.00 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცაბუნია“. 13.20 — საინფორმაციო გამოშვება (მ.). 14.00 — გადაცემა „ჯარისკაცები ჩემი სოფლიდან“. 14.20 — კინონარკვევი. 14.40 — „დიდი სახლის დიასახლისი“. 15.05 — ხვალ გამარჯვების დღესასწაულია. 15.20 — საინფორმაციო გამოშვება. 15.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შეხვედრამდე“. 15.55 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. 21.20 — მოამბე. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის. საზეიმო კონცერტი.

## თეატრი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შეშლილი, შეშლილი... ახალი წელი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ოტელო; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ჭინჭრაქა; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი; მინიატიურების სახელმწიფო — ნაკრები; მეტეხის — ჯაზი, ეშმაკი და სიყვარული.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.


КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08604 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11